ახალი განათლება

2010 წელი, 25 – 31 მარტი

ფასი 90 თეთრი

№10 (484) გამოდის 1998 წლიდან



კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარს

მეტი მოტივაცია თითოეული ახალგაზრდისთვის

გვერდი 6

ადამი და ღვთის მაძიებელი ადამიანი

გვერდი 8

საგანმანათლებლო კერები სვანეთი

გვერდი 9

ერთობლივად მისაღწევი მიზანი – სტანდარტის შესაბამისი მასწავლებელი

წელს ყველაზე დიდი სიახლე განათლების სფეროში მასწავლებელთა სერტიფიცირება და სკოლის გამოსაშვები გამოცდებია. ორივე შემთხვევაში საგამოცდო ტესტებისა და პროგრამის მომზადება გამოცდების ეროვნულ ცენტრს დაევალა. ამ საკითხებზე სასაუბროდ ვთხოვეთ ინტერვიუ გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორს მაია მიმინოშვილს.

მომზადებულია თუ არა სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტების ნიმუშები და პროგრამა და როგორ მიეწოდება პედაგოგებს?

2008 წლიდან გამოდის ჩვენი კრებული „როგორ მოვემზადოთ სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის“, რომელშიც არის ტესტების ნიმუშები პროფესიულ უნარებში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკასა და უცხო ენებში. ახლა გამოდის განახლებული ვერსია უცხო ენის პედაგოგებისთვის – კრებულს დაემატა კომპაქტდისკი, რომელზეც მოსმენისა და ლაპარაკის ნაწილია ჩაწერილი. ასე რომ, იმ ნიმუშებს, ტიპურ დავალებებს, რომლებიც პედაგოგებს გამოცდაზე შეხვდებათ, უკვე ორი წელია ვამზადებთ. რაც შეეხება საგამოცდო პროგრამას, იგი შესულია ტესტების ნიმუშთა კრებულში, რომელიც 2008 წელს გამოვიდა და რომელიც, ფაქტობრივად, არ შეცვლილა, უკვე დამტკიცებულია და ჩვენს ვებგვერდზეცაა განთავსებული. ასე რომ, საგნობრივ პროგრამებთან დაკავშირებითაც ნათელი წარმოდგენა ჰქონდათ ჩვენს პედაგოგებს, ერთადერთი იყო პროფესიული უნარების საგამოცდო პროგრამა, რომელიც უკვე განთავსებულია ჩვენს ვებგვერდზე და მსურველებს ადვილად შეუძლიათ ნახონ.

სკოლებს შეეძლოთ გამოეწერათ კრებულები. რიგ შემთხვევებში, რაიონებში ხელშეკრულებები გავაფორმეთ და წიგნის მაღაზიებს ვაწვდით. ძალიან გვეხმარებიან რესურსცენტრები – გვაწვდიან ინფორმაციას რა რაოდენობის კრებული სჭირდებათ რაიონებში. გამოცდების წინ პედაგოგები განსაკუთრებით გააქტიურდნენ, ეს კრებულებზე მოთხოვნის გაზრდასაც ემჩნევა. ასეთი აქტიურობა ადრე არ შეიმჩნეოდა. რაც შეეხება თბილისს, აქ მასწავლებლებისთვის გაცილებით გამარტივებულია საქმე იმდენად, რამდენადაც კრებულები ოთხ ადგილას შეუძლიათ შეიძინონ: შალვა დადიანის და ცოტნე დადიანის ქუჩებზე – ბიბლიოთეკა-ექტორი და „პრიმავერა ჯორჯია“, ასევე ბუდაპეშტის ქუჩაზე „პრიმავერას“ ფილიალში და ილიას უნივერსიტეტის წიგნის ჯიხურში.

ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ გამოიწერონ და სად შეიძინონ კრებულები, ჩვენი საინფორმაციო გაზეთის ბოლო გვერდზეა განთავსებული. ამ თვალსაზრისით, მაქსიმალურად ვცდილობთ, ყველა პრობლემა მოვხსნათ. მაგალითად, გორის პედაგოგებთან შეხვედრის დროს, რესურსცენტრის ხელმძღვანელი დაგვეხმარა, მოიყვანა ქალბატონი, რომელსაც წიგნის მაღაზია აქვს და იქვე გავაფორმეთ ხელშეკრულება. გორის რაიონის პედაგოგებისთვის უკვე გაგზავნილია საჭირო რაოდენობა.

გვერდი 2

აქტუალური ინტერვიუ

ერთობლივად მისაღწევი მიზანი – სტანდარტის შესაბამისი მასწავლებელი

პირველი გვერდიდან

ძირითადი მოთხოვნები ან შენიშვნები, რაც პედაგოგებთან შეხვედრებზე გაისმოდა

გენერალური რეპეტიცია გვქონდა ქუთაისში, ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო. მანამდე პედაგოგებს შევხვდით, თუმცა მოგვიანებით მივხდით, უმჯობესი იყო ეს შეხვედრა გენერალური რეპეტიციის შემდეგ გაგვემართა, როცა უკვე გაეცნობოდნენ ტესტის ფორმას. ტრადიციულად, იმერეთის რეგიონის პედაგოგები ძალიან აქტიურები არიან და მათთან შეხვედრა ჩვენთვის ყოველთვის საინტერესოა. შეხვედრა დაძაბულ ვითარებაში ჩატარდა, იყო კრიტიკული შენიშვნები, მაგრამ მიუხედავად ამისა, შევეცადეთ ყინული გაგველღვო. ამის შემდეგ დავრწმუნდი, რომ მნიშვნელოვანია პედაგოგებთან ინტენსიური შეხვედრები და ამიტომაც ძალიან დაძაბული გრაფიკი დავგეგმეთ. ფაქტობრივად, ყველა რეგიონი მოვიარეთ. ბევრი საერთო მოსაზრება იყო, შინაარსით ანალოგიურ კითხვებს გვისვამდნენ ყველა რეგიონში, თუმცა იყო განსხვავებებიც.

მთავარია ის, რომ პედაგოგებს გარკვეული შიში აქვთ, რაც სავსებით გასაგები და ლოგიკურია, თუ გავითვალისწინებთ, რომ პირველად ტარდება ასეთი ფორმის და მასშტაბის სასერტიფიკაციო გამოცდა. დავადგინეთ, რომ ჩვენი პედაგოგები ინფორმაციის ნაკლებობას უჩივიან და ეს ასეც არის. ბევრი ვისაუბრეთ შინაარსობრივ ნაწილთან დაკავშირებით, რაც მათთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო, ვცდილობდით სწორედ ამაზე გაგვეკეთებინა აქცენტი და არა ზოგად პრობლემებზე – მაგალითად, ხელფასი რამდენად მოემატებათ, როგორ შეირჩევა მენტორი მასწავლებლები და ა.შ., რაც, ბუნებრივია, გამოცდების ეროვნული ცენტრის კომპეტენციაში არ შედის. ამიტომ ვთხოვდი პედაგოგებს, ფოკუსირება კონკრეტულად გამოცდებზე მოგვეხდინა და იმაზე, რაზეც გამოცდების ეროვნული ცენტრია პასუხისმგებელი.

მე მგონი, არ ყოფილა არც ერთი რაიონი, სადაც არ დაუსვამთ კითხვა – რატომ არ აქვეყნებთ წინასწარ ტესტებს ისევე, როგორც ექიმების, მოსამართლეების და იურისტების შემთხვევაში მოხდა. ვისწავლით, მოვემზადებით და გამოცდაზე იქიდან შეგვხვდეს ერთ-ერთიო. ქუთაისში ისიც კი გვითხრეს, ათი ათასი ტესტური დავალება გამოაქვეყნეთო. ათი ათასი ტესტის მომზადება წარმოუდგენელია, რადგან ათი ათასის კი არა, ათი ტესტის შექმნაც ძალიან ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული. ერთი კვალიფიციური ტესტის შექმნას ხანგრძლივი დრო სჭირდება. ვეცადე, ამეხსნა მათთვის და მგონია, პედაგოგები დამეთანხმენ, რომ ჩვენი მიზანი არ არის მხოლოდ მეხსიერების შემოწმება – კონკრეტული ტესტური დავალებების დაზეპირება და შემდეგ ამ დავალებებზე პასუხის გაცემა. ეს ერთი, მეორე – მე პირადად მიმაჩნია, რომ ის მასწავლებელი ვერ იქნება კარგი, ვინც მოსწავლეებს საკონტროლო წერის წინ მისცემს დავალებებს და ეტყვის, რომ საკონტროლო წერაზე ამ დავალებებიდან შეგხვდებათ ერთ-ერთიო. ის მასწავლებელია კარგი, რომელიც ტიპურ დავალებებზე ამეცადინებს, ავარჯიშებს კლასს და ეტყვის, აი, ამ ტიპის დავალება იქნება საკონტროლო წერაზე. თუ კარგი პედაგოგები მოსწავლეებთან არ აკეთებენ ამას, სრულიად არალოგიკურია ამის მოთხოვნა სასერტიფიკაციო გამოცდებზე. ეს იყო საკითხი, რაშიც მე პირადად ვერ დავეთანხმე პედაგოგებს. მოდით, მაშინ აბიტურიენტებსაც მივცეთ წინასწარ ტესტური დავალებები, რა დააშავეს?! აბიტურიენტებისგან მსგავსი მოთხოვნა არ გამიგია. სხვა საქმეა, პირადად მე და ჩემს კოლეგებს რა მოსაზრება გვაქვს იმავე ექიმებთან და იურისტებთან ჩატარებულ გამოცდებთან დაკავშირებით. ჩვენ კატეგორიულად არ ვამართლებთ ამას, მაგრამ ეს მათი საქმეა და შეიძლება რამე კონკრეტულ მიზანს ემსახურებოდა.

ჩვენი პედაგოგებისთვის მთავარი და მნიშვნელოვანი უნდა იყოს საგამოცდო პროგრამა და აუცილებლად უნდა იცოდნენ, როგორი ფორმატის და ტიპის იქნება ტესტური დავალებების ნიმუშები, რომლის ანალოგიური შეხვდებათ გამოცდაზე. ამ მხრივ, მათი მოთხოვნა სავსებით ლეგიტიმურია და ამას ვაკეთებთ კიდეც.

იყო საუბარი პროვაიდერების პრობლემასთან დაკავშირებით. ეს ის თემაა, რომელიც, ჩვენი აზრით, ნამდვილად პრობლემურია და ძნელი იყო არ დავთანხმებოდით პედაგოგებს. რეალურად დავინახეთ, მაგალითად, ის, რომ რამდენიმე პედაგოგს შემოტანილი ჰქონდა ნაწერები („შპარგალკას“ არ დავარქმევ, ამას არ ვაკადრებ პედაგოგებს), რომელიც ჩამოვართვით და როცა სპეციალისტებმა ნახეს, აღმოჩნდა, რომ სრულიად გაუმართლებელი და, მარტივად რომ ვთქვათ, არასწორი მასალა იყო. ამან ნამდვილად შეგვაშფოთა. სამწუხაროდ, ეს პროვაიდერები შეირჩნენ ისე, რომ ჩვენი ცენტრის არც ერთ თანამშრომელს შერჩევაში მონაწილეობა არ მიუღია. შესაბამისად, წარმოდგენა არ გვქონდა, რა კრიტერიუმებით მოხდა მათი აკრედიტაცია. მაგალითად, როცა კახეთის რეგიონში ჩავატარეთ აპრობაცია, გვთხოვდნენ, სასწავლო გეგმა შეგვატანინეთო. სიმართლე გითხრათ, ვერაფრით ვერ მივხვდი, რაში სჭირდებოდათ ეს დოკუმენტი აპრობაციის დროს. მასწავლებელთა ჯგუფმა მოითხოვა საწავლო გეგმის შეტანა იმ მიზეზით, რომ ძალიან ძნელია ამ დოკუმენტის დაზეპირებაო. რომ ვკითხეთ, ვინ დაავალა ამის დაზეპირება, აღმოჩნდა, რომ რომელიღაც პროვაიდერი ეუბნებოდათ, რომ ესა თუ ის დავალება მოითხოვს იმის ცოდნას, რომელი მუხლის რომელ პარაგრაფში რა წერია და ასე ამეცადინებდა. მოკლედ რომ გითხრათ, ეს საშინელებაა. პროვაიდერებს აუცილებლად უნდა გაევლოთ კონსულტაციები და ჩვენი კრებული მაინც უნდა ენახათ, რა თემებზე და რა ფორმატზეა საუბარი. გამოცდებზე მისულ პედაგოგს რომ არავინ მოსთხოვს ეროვნული სასწავლო გეგმის ზეპირად ცოდნას, ეს თვალნათელია. ნამდვილად სამწუხაროა ასეთი ლაფსუსები. მე შეხვედრებზეც ვუთხარი პედაგოგებს და ახლაც გავიმეორებ, ისინი თავად მშვენივრად განსაზღვრავენ, რომელი პროვაიდერია კარგი და ტრენინგისთვის იმას არ შეარჩევენ, რომელიც, საბოლოო ჯამში, არ გამოადგებათ. პედაგოგებს შეუძლიათ აიღონ ჩვენი მასალები და კრებულები და უბრალოდ შეადარონ იმას, თუ რას სთავაზობს ესა თუ ის პროვაიდერი. თუმცა, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მე პირადად ვიცნობ რამდენიმეს და ნამდვილად კარგი პროფესიონალები არიან, მაგრამ სხვებზე პასუხისმგებლობას, სამწუხაროდ, ვერ ავიღებთ.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ჩვენი მიზანი ის კი არ არის, რომ მასწავლებლების სუსტი მხარეები აღმოვაჩინოთ, არამედ დადგენილ სტანდარტთან შესაბამისობაში მოვიყვანოთ მასწავლებელთა კორპუსი

საუბარია იმ პროვაიდერებზე, რომლებიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შეირჩნენ?

მათ აკრედიტაცია გაიარეს აკრედიტაციის ცენტრში. შერჩევისას რა კრიტერიუმები იყო, არ ვიცი. ერთი რამ ცხადია – სამწუხარო ლაფსუსები ნამდვილად აღმოვაჩინეთ შეხვედრების დროს.

საუბარი შეეხო, ცოტა აგრესიულადაც კი, იმას, რომ თითქოს გასაიდუმლოებული გვაქვს ყველაფერი და აქამდე კომპეტენციის მინიმალური ზღვარიც კი არ არის დადგენილი. მესმის მათი და შევეცადე, ამეხსნა ვითარება. იმედი მაქვს, ყველა პედაგოგმა ადეკვატურად გაიგო, რომ სასერტიფიკაციო გამოცდისთვის მინიმალური კომპეტენციის ზღვრის დადგენა უმნიშვნელოვანესია იმდენად, რამდენადაც ეს არ არის ერთიანი ეროვნული გამოცდების მსგავსი სასელექციო ტიპის გამოცდა, სადაც მინიმალურ ზღვარს, ფაქტობრივად, სიმბოლური დატვირთვა აქვს. თავიდან იყო 15 ქულა, მერე ავწიეთ 25-მდე, მაგრამ რომც გადალახოს აბიტურიენტმა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, არანაირი გარანტია არ არის, რომ ჩაირიცხება რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში. აქ საუბარია იმაზე, რომ აბიტურიენტები ერთმანეთს ეჯიბრებიან, არის კონკურენცია ერთმანეთში – უნდა ვაჯობო ვიღაცას, რომ ჩავირიცხო კონკრეტულ უმაღლეს სასწავლებელში. სასერტიფიკაციო გამოცდის შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა. აქ საუბარია იმაზე, რომ უნდა დავადგინოთ ერთი კონკრეტული ბარიერი და ვინც ამ ბარიერს გადაცდება (სულერთია, რა ქულას მიიღებს), მიიღებს სერტიფიკატს. ამ შემთხვევაში, გამოსაცდელი, ასე ვთქვათ, ეჯიბრება დადგენილ სტანდარტს და არა სხვა გამოსაცდელს. მარტივად რომ ვთქვათ, დავუშვათ, მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 50 ქულა, თუ ერთმა პედაგოგმა 51 ქულა დააგროვა, მეორემ კი, სიტყვაზე – 100, თანაბარ ვითარებაში არიან და ორივეს ერთი და იგივე სერტიფიკატი ერგება. ასე რომ, აქ კომპეტენციის ზღვრის გამოცხადება, თუნდაც ჩემი პერსონალური მოსაზრების ან ჩემი კოლეგების მოსაზრების საფუძველზე, რა თქმა უნდა, ძალიან სახიფათოა. აუცილებლად უნდა გვქონდეს დაზუსტებული მეცნიერული ბაზისი იმისა, რომ გამოვაცხადოთ კონკრეტული ბარიერი. სტანდარტების დადგენის პროცედურა უკვე აპრობირებულია და ჩვენ აუცილებლად გამოვიყენებთ. ამისათვის გვჭირდებოდა ტესტის მთლიანი ფორმატის გამოცდა და არა – ტესტური დავალებების, რაც განხორციელდა კიდეც ქუთაისში გენერალური რეპეტიციის დროს. თბილისში, გორში, თელავსა და რუსთავშიც ჩავატარეთ ტესტის ფორმატის გამოცდა და ახლა ნამუშევრების გასწორება მიმდინარეობს. საბოლოო ჯამში, 3000-მდე პედაგოგმა მიიღო მონაწილეობა. მიმდინარეობს შედეგების ანალიზი, სტანდარტების დადგენის პროცედურას გავივლით და მხოლოდ ამის შემდეგ ვიქნებით მზად, გამოვაცხადოთ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ახლა რომ ვთქვა, მაგალითად, რომ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 50 იქნება 100-ქულიანი ტესტიდან, ვინმემ რომ მკითხოს, რატომ 50 და არა 51 ან 45, შეიძლება რაღაც ზოგადი პასუხი გავცე, მაგრამ მეცნიერულად დაზუსტებული პასუხი არ მექნება. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან სახიფათოა. არ შეიძლება ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ექსპერტების, თუნდაც საქვეყნოდ ცნობილი, მოსაზრებაზე დაყრდნობით მივიღოთ. დავპირდი პედაგოგებს, რომ ამ პროცედურას მარტის ბოლომდე დავასრულებთ. სავსებით ლოგიკური იყო მათი მოსაზრება, რომ ასეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია დაეხმარებოდათ გადაწყვეტილების მიღებაში – გავიდნენ თუ არა გამოცდებზე. 31 მარტს, მოგეხსენებათ, რეგისტრაცია სრულდება. როდესაც გამოვაცხადებთ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს საგნებში, პედაგოგებს ორი კვირის ვადას მივცემთ, კარგად რომ დაფიქრდნენ კიდევ ერთხელ და ისე მიიღონ გადაწყვეტილება. ჩვენთვის არ იქნება პრობლემა, რომ რეგისტრაციის ვადა 15 აპრილამდე გადავწიოთ.

საუბარი იყო იმაზეც, როგორ დაბრუნდება ჩაჭრილი პედაგოგი სკოლაში. კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ასეთი ფორმულირების – რას ნიშნავს ჩაჭრა. აქ საუბარია იმაზე, რომ შეიძლება გარკვეულ გარემოებათა გამო, ტესტის ერთ-ერთ ნაწილში ვერ მოვახერხე ბარიერის გადალახვა არა იმიტომ, რომ ცუდი მასწავლებელი ვარ და მასწავლებლობის უფლება უნდა ჩამომერთვას, არამედ იმიტომ, რომ გამოცდას ყოველთვის თან ახლავს სტრესი, ნერვიულობა, შეიძლება კონკრეტული ვითარებების გამო (მაგალითად, ტესტის კონკრეტული ნაწილი არ მაქვს სათანადოდ დაძლეული). სწორედ ამიტომ არის ეს პროცედურა ნებაყოფლობით პრინციპზე აგებული – აუცილებლად გავალ გამოცდაზე და ვნახავ, საბოლოო ჯამში, რა იყო წარუმატებლობის მიზეზი – ზედმეტი ნერვიულობა თუ საგამოცდო პროგრამის რაღაც ნაწილი არ მქონდა სათანადოდ დაძლეული, პარალელურად საგამოცდო სიტუაციასაც შევეგუები და გარკვეულ გამოცდილებას მივიღებ. მეცოდინება, სად არის ჩემი სუსტი წერტილი, შევძლებ მოვემზადო და შემდეგ წელს მარტივად გადავლახო ბარიერი. საბოლოო ჯამში, შემიძლია მრავალჯერ ვცადო ბედი და როცა სერტიფიკატს მივიღებ, მე და თქვენ ერთნაირი მასწავლებლები ვიქნებით, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ პირველივე წელს მოახერხეთ გამოცდის ჩაბარება. აქვე მინდა განვაცხადო, დარწმუნებული ვარ, ჩვენს მასწავლებლებს დიდი ძალისხმევის ფასად არ დაუჯდებათ ამ ბარიერის გადალახვა. ბუნებრივია, რაღაცას აუცილებლად უნდა გადახედონ, საკუთარი თავის მობილიზება უნდა მოახდინონ – ეს ყველა გამოცდის თანმხლები მოვლენაა და ვერც აქ ავიცილებთ თავიდან. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ჩვენი მიზანი ის კი არ არის, რომ მასწავლებლების სუსტი მხარეები აღმოვაჩინოთ, არამედ დადგენილ სტანდარტთან შესაბამისობაში მოვიყვანოთ მასწავლებელთა კორპუსი და ყველა მასწავლებელს ჰქონდეს დასტური იმისა, რომ კარგი მასწავლებელია. ასე რომ, როცა მეკითხებოდნენ, რას გვირჩევთ – გავიდეთ თუ არა გამოცდაზე, ყველას ვურჩევ გასვლას იმიტომ, რომ ეს ელემენტარული გამოცდილება იქნება სამომავლოდ. რაც მთავარია, ზედმეტი ნერვიულობის გარეშე, რადგან ყველა მასწავლებელს აქვს იმის უფლება, რამდენჯერაც სურს, იმდენჯერ გამოვიდეს გამოცდაზე. გამოცდილების შეძენა ასეთი ფორმით გაცილებით უკეთესია, ვიდრე კოლეგების მონაყოლით, როდესაც შენ თვითონ გაქვს იმის შანსი, რომ მიიღო მონაწილეობა და საკუთარი თვალით ნახო ყველაფერი, მიხ-

აქტუალური ინტერვიუ

ვდე რაზე უნდა იმუშაო შემდგომში, რომ უპრობლემოდ გადალახო ბარიერი.

აი, ეს იყო ის ძირითადი საკითხები და პრობლემები, რაზეც პედაგოგებთან ვსაუბრობდით.

შეიცვალა თუ არა პედაგოგთა განწყობა აპრობაციის შემდგომ?

სწორედ ამიტომ ვთქვი, რომ პედაგოგებთან შეხვედრა გენერალური რეპეტიციის შემდეგ სჯობდა, რადგან აპრობაციაზე გასვლის შემდეგ პედაგოგების განწყობა რადიკალურად შეიცვალა. გასაოცარი სურათი იყო – აღელვებული პედაგოგები აპრობაციამდე და კმაყოფილები – აპრობაციის შემდგომ. მერე ისევ გვქონდა მათთან შეხვედრა, რომელიც უფრო კონსტრუქციული აღმოჩნდა, უკვე კონკრეტულ საკითხებზე ვსაუბრობდით – ეყოთ თუ არა დრო; როგორი იყო დავალებები ან, მათი აზრით, როგორი უნდა ყოფილიყო და ა.შ. ეს შეხვედრა, პირველისგან განსხვავებით, სრულიად მშვიდად წარიმართა და შეკითხვებიც მიზანმიმართული იყო. სააპრობაციო ტესტებს კითხვებიც დავურთეთ, რომლებზეც პედაგოგებმა უპასუხეს. შეხვედრაზე ამაზეც ვისაუბრეთ, დავადგინეთ ქრონომეტრაჟი – გამოცდის დაწყებისა და დასრულების დრო. ისიც ითქვა, რომ ხუთი საათი ძალიან ბევრია, ასევე ძალიან დიდი მასალაა, მაგალითად პროფესიულ უნარებში, ოთხი ვარიანტი გამოსცადა კვლევის დეპარტამენტმა – ორი ტესტი შედარებით გრძელი იყო და ორი – უფრო მოკლე. მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ გრძელი ტესტი გამოცდაზე არ იქნება, მხოლოდ მოკლე ვარიანტს შევთავაზებთ.

პედაგოგებს ხუთი საათი ჰქონდათ მიცემული. ასეთი შემთხვევაც იყო, რომ სამი საათის შემდეგ გამოსული პედაგოგი გვეუბნებოდა, ბევრი მასალა იყო და ვერ მოვასწარიო, თუმცა კიდევ ორი საათი შეეძლო ემუშავა. იმასაც ამბობდნენ, რომ ხუთი საათი ძალიან დიდი დროა და დავიღალეთო. თუკი აბიტურიენტები შეგვიძლია დავსვათ ოთხსაათნახევარი და ვამუშაოთ, მგონია, რომ პედაგოგებისთვისაც მისაღები უნდა ყოფილიყო ეს დრო. მე რომ დავამთავრე სკოლა, მაშინ ქართულის წერითი გამოცდა ხუთი საათი გრძელდებოდა – ჯერ შავად ვწერდით და შემდეგ ვათეთრებდით. აუცილებლად გავაანალიზებთ კითხვარებს და მხოლოდ ამის შემდეგ დავადგენთ დროს.

ქუთაისის გენერალურ რეპეტიციაზე უცხო ენების ტესტის ახალი ნაწილი გამოვცადეთ – ლაპარაკის ნაწილი. ტესტის პირველი ნაწილი რომ დასრულდა, პედაგოგები ძალიან აღელვებულები იყვნენ, უმრავლესობა ამბობდა, რად გვინდა ეს მეორე ნაწილი, ხომ შეიძლება პირველ ეტაპზე არ იყოსო. ვამშვიდებდით – ეს მხოლოდ აპრობაციაა, გაიარეთ, სულ 15 წუთი უნდა ამ ნაწილს, ნახეთ და მერე ვისაუბროთ. ვერ წარმოიდგენთ, რა კმაყოფილები გამოდიოდნენ – რა კომფორტულია, რა კარგია, აუცილებლად უნდა იყოს ეს ნაწილიო, აცხადებდნენ. როგორც ჩანს, საშინელება ეგონათ.

გვითხრეს, რომ დრო, რომელიც უცხო ენის ჯგუფს ჰქონდა გამოყოფილი ტესტის პირველი ნაწილისთვის – წერა, კითხვა და მოსმენა, არ იყო საკმარისი. ამ ნაწილში დრო გაიზარდა – პირველი სამი ნაწილისთვის 3 საათი ექნებათ და მეოთხე ნაწილისთვის – 15-17 წუთი.

ვერ წარმოიდგენთ, როგორ ვღელავთ. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ, ჯერ ერთი, ჩვენი ტესტები მათთვის კომფორტული იყოს და, მეორე, მაქსიმალურად კეთილგანწყობილი გარემო დავახვედროთ გამოცდებზე მოსულ ჩვენს ღვაწლმოსილ პედაგოგებს. მთელი გულითა და სულით მათ გვერდით ვდგავართ. უნდა შევთანხმდეთ – მხოლოდ ის გვინდა, რომ კონკრეტულ სტანდარტს შეესაბამებოდეს ყველა პედაგოგის ცოდნა, გამოცდილება, უნარები და ამ სტანდარტისკენ ერთად უნდა ვიაროთ. აქ არ არის საუბარი იმაზე, რომ გამოცდაზე გასულ პედაგოგებს დავყოფთ კარგებად და ცუდებად, ეს კატეგორიულად მიუღებელია. საუბარია იმაზე, რომ 2014 წლამდე, მათთან ერთობლივი მუშაობით, მივაღწიოთ შედეგს – უმრავლესობა პედაგოგებისა გვყავდეს უკვე სტანდარტთან შესაბამისობაში. ეს არის ჩვენი მიზანი.

აინტერესებდათ ისიც, იქნება თუ არა შედეგები ანონიმური. რა თქმა უნდა, ამის უზრუნველყოფა შეგვიძლია და აუცილებლად გავაკეთებთ. გვეკითხებოდნენ, რატომ არ გვაქვს აპელაციის უფლებაო. არავის გაუვლია თავში აზრად, რომ პედაგოგებს აპელაციის უფლება არ ჰქონოდათ, უბრალოდ, თვითონ დებულებაში არ იყო ეს გაწერილი, მაგრამ კანონით ნებისმიერ ადამიანს აქვს გასაჩივრების უფლება და ეს არც ვადით არის შეზღუდული. როცა დებულებაში გაიწერება, იქ აუცილებლად გარკვეული ვადით იქნება შეზღუდული. როგორც აბიტურიენტებს ვეუბნებით, რომ ხუთი დღის ვადაში უნდა გაასაჩივრონ, ასევე იძულებული ვიქნებით პედაგოგებსაც ვუთხრათ, რომ ხუთი დღის ვადაში ჩაეტიონ. ასე რომ, იგივე პროცედურა იქნება პედაგოგებისთვისაც – სპეციალური საძიებო სისტემით (უნდა აკრიფონ საკუთარი გვარი, სახელი და პირადი ნომერი, რომელიც რეგისტრაციის დროს მიენიჭათ და მხოლოდ მათ იციან) ჩვენს ვებგვერდზე იხილავენ თავიანთ ნამუშევარს ჩასწორებულს. პედაგოგს მხოლოდ საკუთარი ნამუშევრის ხილვა შეეძლება და არა სხვისი. ამის შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას, გაასაჩივროს თუ არა. როცა ყველაფერი დასრულდება და საბოლოო შედეგები გვექნება, პირადი ნომრებით გამოვაქვეყნებთ და შედეგი მხოლოდ თვითონ პედაგოგს ეცოდინება.

აპრობაციაზე გასვლის შემდეგ პედაგოგების განწყობა რადიკალურად შეიცვალა. გასაოცარი სურათი იყო – აღელვებული პედაგოგები აპრობაციამდე და კმაყოფილები – აპრობაციის შემდგომ

და კიდევ ერთი რამ – ნებისმიერ პედაგოგს შეუძლია გამოვიდეს და ჩააბაროს პროფესიული უნარების ტესტი, მიუხედავად იმისა მისი საგნობრივი ტესტი წელს ბარდება თუ არა (ვგულისხმობ ფიზიკის, ქიმიის, დაწყებითი კლასების მასწავლებლებს და ა.შ.). გარკვეულ გამოცდილებასაც მიიღებენ და მომავალში მხოლოდ საგნობრივი ტესტი ექნებათ ჩასაბარებელი. ეს მართლაც უნიკალური შანსია იმისთვის, რომ დაინახო საკუთარი სუსტი მხარეები. ვცდილობთ, ეს ყველა პედაგოგს ავუხსნათ. მათთვის საინტერესო უნდა იყოს გამსწორებლის თვალით დანახული და გასწორებული, უკმაყოფილების შემთხვევაში კი, გასაჩივრებული ნამუშევრის გადახედვა. დაინახავენ რა საკუთარ სუსტ მხარეებს, შემდეგ წელს უფრო მომზადებულები გავლენ გამოცდებზე. ასე რომ, პირადად მე ვფიქრობ, რომ ეს მასწავლებლებისთვის მართლაც უნიკალური შანსია.

კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, როდესაც საბოლოოდ გამოვაცხადებთ მაქსიმალურ ქულას და კომპეტენციის მინიმალურ ზღვარს, აუცილებლად გავაგრძელებთ რეგისტრაციის ვადას და პედაგოგებს კარგად დაფიქრების საშუალებას მივცემთ. ერთი კვირა ვიმუშავებთ ჩვენს კონსულტანტთან და იმედია, აპრილის პირველ რიცხვებამდე პასუხი გვეცოდინება.

სასკოლო გამოცდები – როგორი იქნება პროცედურა, ტესტის ფორმატი?

ტესტის ფორმატთან დაკავშირებით მუშაობა ახლა მიმდინარეობს, ჯერჯერობით, დეტალებზე საუბრისგან თავს შევიკავებდი. ძალიან რთული პროცესია, ორი რადიკალურად განსხვავებული მიზანი გვაქვს და გვინდა ორივე, ასე ვთქვათ, ერთ ინსტრუმენტში მოვათავსოთ. თუ ერთი ტესტი გვექნა, რომელიც ორივე მიზანს მოემსახურება, ძალიან მარტივად და რბილად რომ ვთქვა, ეს იქნება სრულიად არაპროფესიონალური მიდგომა, რაც დაუშვებელია. არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს მსგავსი პრეცედენტი, როდესაც ერთი კონკრეტული საგამოცდო ტესტი, ერთდროულად, ემსახურება სასერტიფიკაციო

მნიშვნელოვანია შევამოწმოთ საბაზისო დონეზე იცის თუ არა მოსწავლემ ყველა ის შემადგენელი ნაწილი, რაც მინიმალურ სტანდარტშია ჩამოყალიბებული. ასე რომ, შემოვიფარგლებით მხოლოდ და მხოლოდ მარტივი ტიპის დავალებებით

და სასელექციო მიზანს. ზემოთ ვახსენე, თუ რა რადიკალური განსხვავებაა, კომპეტენციის მინიმალური ზღვრის დადგენასთან დაკავშირებით, სასერტიფიკაციო და სასელექციო ტიპის გამოცდებს შორის. შინაარსობრივი განსხვავებებია და ამიტომ არის ძალიან რთული გადაწყვეტილების მიღება, როგორი იყოს (ერთი ტესტი რომ არ იქნება, ეს ცხადია), რა ნაწილებისგან შედგებოდეს მთლიანი ტესტი და რომელი ნაწილი რას უნდა ემსახურებოდეს – რომელი იყოს სასერტიფიკაციო მიზნებისთვის და რომელი – სასელექციო.

მუდმივად ვმუშაობთ ტესტის ფორმატზე და აქ ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილება, პირველი ეტაპი გახლავთ მინიმალური სტანდარტის დადგენა, რაც სასწავლო გეგმების ცენტრს დაევალა. მინიმალურ სტანდარტზე (ბირთვი იმ ეროვნული სასწავლო გეგმისა, რომელიც უნდა იყოს ოფიციალური დოკუმენტი) ჩვენ უნდა ავაგოთ საგამოცდო პროგრამა და ვიმუშაოთ ტესტურ დავალებებზე. რას უნდა გვეუბნებოდეს მინიმალური სტანდარტი? მარტივად რომ ვთქვათ, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ სკოლაში თორმეტი წლის სწავლის შემდეგ ამა თუ იმ საგანში, ზოგადი განათლების დამადასტურებელი სერტიფიკატი რომ მიიღოს. საუბარია იმ სავალდებულო საგნებზე, რაც სასწავლო პროცესის ბირთვს წარმოადგენს. აი, ეს არის აუცილებლად დასადგენი. ისე, ნორმალურ ვითარებაში, ეს დოკუმენტი გახლავთ ეროვნული სასწავლო გეგმა, მაგრამ თუ ჩვენ ამას დოკუმენტად ავიღებთ, ეს, ფაქტობრივად, დაუძლეველი ამოცანა იქნება, რადგან რიგ შემთხვევებში შეუძლებელია ნებისმიერ მოსწავლეს მოვთხოვოთ ეროვნული სასწავლო გეგმის ბოლომდე დაკმაყოფილება. ამიტომ სასწავლო ცენტრი მოამზადებს იმ ბირთვს, თუ რა მოეთხოვება, ზოგადად, ნებისმიერ მეთორმეტეკლასელს.

შევთანხმდით, რომ ბოლო ვადა იქნებოდა 15 მარტი, რადგან ამის შემდეგ ძალიან დიდი სამუშაო გვაქვს ჩასატარებელი, მაგრამ ვადამ გადაიწია. ყველა საგანში მოხდა შეთანხმება, ფიზიკის გარდა. იმედი მაქვს, ამ კვირაში მიაღწევენ შეთანხმებას. შემდეგ დავიწყებთ საგამოცდო პროგრამის მომზადებას და ტესტური დავალებების შექმნას. 2 მაისიდან 16 მაისის ჩათვლით ფართომასშტაბიანი აპრობაციები გვაქვს დაგეგმილი ყველა საგანში – ჩვენი ტესტური დავალებები უნდა გავიტანოთ აპრობაციაზე. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან აპრობაციის შედეგების გაანალიზების საფუძველზე გავაკეთებთ კონკრეტულ დასკვნას. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვეძლება საუბარი იმაზე, როგორი შეიძლება იყოს ზოგადად ტექნიკური ფორმატი, რა ნაწილებისგან უნდა შედგებოდეს ტესტი, რა იქნება სასერტიფიკაციო და რა – სასელექციო. როდესაც ეს ყველაფერი გაირკვევა, ფორსირებულად მოსამზადებელი გვექნება ტესტის ნიმუშთა კრებულები, რომლებიც სექტემბრიდან ყველა სკოლას დაეგზავნება. სკოლამ, ჩვენთან ერთად, ძალიან დიდი ტვირთი და პასუხისმგებლობა უნდა აიღოს – ერთი წლის განმავლობაში რაც დაუშვებელია. არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს მსგავსი პრეცედენტი, როდესაც ერთი კონკრეტული საგამოცდო ტესტი, ერთდროულად, ემსახურება სასერტიფიკაციო

ისარგებლებენ თუ არა წლევანდელი მეთორმეტეკლასელები გარკვეული შეღავათებით?

შეღავათებზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ დადგინდება მინიმალური ზღვარი, სტანდარტი, რაზეც ავაგებთ საგამოცდო პროგრამას და სასერტიფიკაციო ტესტისთვის დავალებები იქნება მარტივი ბლოკიდან, შეიძლება საშუალოზე დაბალი სირთულისაც იყოს.

ბარიერი 10 ან 15 ქულა არ იქნება, ეს გამორიცხულია სასერტიფიკაციო ტესტის შემთხვევაში, მაგრამ იქნება მარტივი ტიპის დავალებათა ბლოკები, რომლებიც ცალკეულ სფეროებს შეამოწმებს. სასერტიფიკაციო ტესტებში ძალიან მნიშვნელოვანია სტანდარტში მოცემული ყველა სფეროს, მეტ-ნაკლებად, შემოწმება. მარტივ მაგალითს მოვიტან: მათემატიკის შემთხვევაში, შეიძლება ძალიან მაგარი ვიყო ალგებრაში და არ ვიცოდე გეომეტრია. ამ შემთხვევაში გამოცდაზე მიშველის ის, რომ ერთ-ერთ სფეროში ძალიან მაგარი ვარ. სასერტიფიკაციო გამოცდა გამორიცხავს კონკურენციას, აქ ჩვენთვის მნიშვნელოვანია შევამოწმოთ საბაზისო დონეზე იცის თუ არა მოსწავლემ ყველა ის შემადგენელი ნაწილი, რაც მინიმალურ სტანდარტშია ჩამოყალიბებული. ასე რომ, შემოვიფარგლებით მხოლოდ და მხოლოდ მარტივი ტიპის დავალებებით, მაგრამ ამ დავალებებმა, იმავდროულად, მეტად თუ ნაკლებად უნდა გადაფაროს მინიმალური სტანდარტი. როცა ვამბობ, ამ ადამიანმა მიიღო ზოგადი განათლება, მაგალითად ფიზიკაში, მე უნდა მქონდეს გარანტია იმისა, რომ მან იცის ცოტა მექანიკა, ცოტა თერმოდინამიკა, ცოტა ოპტიკა და ა.შ.

როგორც ხედავთ, რადიკალური განსხვავებაა ასეთი ტიპის ტესტებსა და სასელექციო ტიპის ტესტებს შორის. ამიტომ არის ძალიან რთული ამ ყველაფრის ერთ კომპონენტში „ჩაყრა“. იმედი მაქვს, რომ მაისის ბოლოს ყველაფერს ჩამოყალიბებული სახე ექნება.

სასერტიფიკაციო გამოცდა (8 საგანში) იქნება ყველა მოსწავლისთვის, ვისაც ზოგადი განათლების ატესტატის აღება უნდა. სასელექციო გამოცდას რაც შეეხება, კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ აბიტურიენტები. აქ ისევ სავალდებულოდ რჩება ზოგადი უნარები, ქართული ენა და ლიტერატურა, ერთ-ერთი უცხო ენა და დაემატება მეოთხე გამოცდა ფაკულტეტის მიხედვით. ფაქტობრივად, მოსწავლემ ერთ მისვლაზე ორი გამოცდა უნდა ჩააბაროს – ორი ტიპის ბუკლეტი უნდა შეავსოს, თუ აპირებს სწავლის გაგრძელებას უმაღლეს სასწავლებელში.

გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე www.naec.ge განთავსებულია ტიპური დავალებების ნიმუშები და საგამოცდო პროგრამა

მეთერთმეტეკლასელებისთვის ექსტერნის წესით ჩაბარება როგორ მოხდება?

ექსტერნის პრობლემა ავტომატურად მოიხსნება – მსურველები გამოვლენ პირდაპირ სასერტიფიკაციო გამოცდებზე და მეთორმეტეკლასელებთან ერთად ჩააბარებენ გამოცდებს.

ესაუბრა
ლალი თვალაგეიშვილი

საუბრები ლიტერატურაზე

კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარს

რუბრიკას უძღვება
ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
ბელა წიფურია

(ნაწყვეტი)

გურამ დოჩანაშვილის მოთხრობაში „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ ორი ანტაგონისტური წყვილია წარმოჩენილი, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან სწორედ ლიტერატურული არეალის ფარგლებში: ლიტერატურის სიყვარულისა და მისდამი ინდიფერენტულობის, მხატვრულ ტექსტთა ფლობისა თუ არფლობის საფუძველზე. ვასიკო კეჟერაძე და კლიმი ფლობენ ყველა იმ ტექსტს, რომელსაც ასახელებენ; თამაზი და მისი ხელმძღვანელი კი არ ფლობენ არც ერთს – უმრავლესობა არ წაუკითხავთ; რომლებიც წაუკითხავთ, არ გაუთავისებიათ. ვასიკო და კლიმი ერთადერთ რეალობად ლიტერატურას აღიარებენ; თამაზისა და ხელმძღვანელისათვის რეალურია მხოლოდ მატერიალური სამყარო და სავსებით არარეალურია ლიტერატურა. ერთი წყვილი ფიზიკურად ცხოვრობს მხოლოდ იმისთვის, რომ ურიცხვ მხატვრულ ტექსტებში შეჭრის საშუალება მიეცეს. მეორე წყვილის შესაძლებლობები ამ თვალსაზრისით სრულიად დასაზღვრულია; ისინი მუდამ დარჩებიან მხოლოდ თავიანთი ერთადერთი მატერიალური ცხოვრების ამარა და შეეცდებიან, უკიდურეს შემთხვევაში, მხატვრული ნაწარმოები აქციონ მიწიერი სამყაროს ატრიბუტად (მაგალითად, იკითხონ დიკენსი ჩრდილში, ხანდახან).

ფაქტობრივად, მოთხრობაში უაღრესად მწვავედ, სრულიად კონკრეტულად, მაგრამ, ამავე დროს, ენობრივი სიმსუბუქით არის წარმოჩენილი რეალურ და წარმოსახვით, მატერიალურ და ლიტერატურულ სამყაროთა დაპირისპირება. ეს, რასაკვირველია, აირეკლავს ქრისტიანულ პრინციპს სულიერ და ხორციელ საწყისთა წინააღმდეგობისა. ამგვარი ანალოგია შემთხვევითი არ არის. XX საუკუნის დამდეგის აზროვნებაში (მოდერნისტულ აზროვნებაში) ცხადად დადგინდა, რომ სარწმუნეობრივი კრიზისის ეპოქაში სწორედ ლიტერატურა იტვირთებდა ფუნქციას, პიროვნების თვალწინ გადაეშალა სულიერი, ზემატერიალური სამყარო. მაგრამ გ. დოჩანაშვილის მიერ პოსტმოდერნისტულ ეპოქაში ეს მიმართება ძალიან დიდი სიფრთხილითა და მოკრძალებით არის ნაჩვენები. აქ საერთოდ არ ახსენებენ სულიერებას, სარწმუნოებას, მხოლოდ მინიშნებულია, რომ ლიტერატურას კვლავ გააჩნია მარადიული მისია ადამიანის „სულის ზრდისა“. გარდა ამისა, ვასიკო კეჟერაძის მსჯელობიდან უნდა დავასკვნათ, რომ სწორედ ლიტერატურა გვაძლევს მარადიულობასთან, უკვდავებასთან ზიარების საშუალებას. რელიგიური კრიზისის ეპოქაში სარწმუნოების სანაცვლოდ სწორედ ლიტერატურის მეშვეობით დავძლევთ სიკვდილის შიშს, შიშს „ქვეყნად არსებულ ხმაურთაგან“ ყველაზე საშინელი და უსიამო ხმისა – „პირველი გორახის დაცემისა საფლავში ჩადგმულ კუბოს სახურავზე“. მაგრამ სხვა რა შეიძლება დაუპირსპირდეს მატერიალური სამყაროს წარმავალობას, თუ არა სულიერების მარადიულობა? ლიტერატურისა და სულიერების მიმართებაც ამ მოთხრობაში საკმაოდ აშკარა, მაგრამ საკმაოდ შეფარულიც არის. მართალია, მთავარ გმირს ხანდახან გრძნობა მოერევა და საგრძნობი სენტიმენტალობით იწყებს ლიტერატურის აპოლოგიას (იხ. მისი ვრცელი მონოლოგი მე-12 თავში), მაგრამ მისი ეს აღტაცება გაწონასწორებულია ავტორის მიერ, ანუ ირონიზირებულია სხვა პერსონაჟთა მიერ. ჭარბი გრძნობებისაგან ხელოვნების განთავისუფლების პრინციპი ჯერ კიდევ მოდერნიზმში იქნა წამოყენებული. იმ ეპოქაშივე დაუკავშირდა ეს პრინციპი სწორედ ირონიას. ქართულ არეალშიც გაიჟღერა სიტყვებმა: „უკანასკნელი გამართლება პოეზიის არის ირონია!“ (ტ. ტაბიძე). გურამ დოჩანაშვილიც სარგებლობს ირონიზმის პრინციპით, რომელიც მოდერნიზმის კვალდაკვალ პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთ უმთავრეს ესთეტიკურ კატეგორიად იქცევა. ქართულ ლიტერატურაშიაც მოდერნიზმის ეპოქის შემდგომ მარადიული ჭეშმარიტებანი გარკვეული ირონიის ფონზე წარმოითქმება. რაციონალისტურ პიროვნებას ლიტერატურა ერთგვარი შიშით აწვდის მარადიულ ფასეულობებს. ჯერ ერთი, მათ უკვე შეეხოთ ღირებულებათა გადაფასების პროცესი, ამიტომ ჩვენს წინაშე ძველებურად თამამად ვეღარ წარმოჩნდებიან. გარდა ამისა, ირონიზირება ერთგვარი ფარია, რომლითაც ავტორი უნდო თვალისაგან იცავს თავისივე წრფელ პოზიციას; დაცულია ტაბუ, მისი „სულის საიდუმლო“ თითქოს არც არის გამოთქმული, მაგრამ მკითხველს მაინც ეცნობება, მართალია, ირონიის ნიღაბქვეშ. სწორედ ამგვარი მიმართება იკვეთება გ. დოჩანაშვილის მოთხრობაშიც. ჩვენთვის ცხადია, რომ ავტორი გვიმხელს თავის წრფელ გრძნობებს, თავის სიყვარულს ლიტერატურისადმი, მაგრამ ეს გრძნობები სწორედ იმ პერსონაჟის პირით არის გამოთქმული, ვისი ირონიზირების უფლებაც ავტორმა წინასწარ მოგვცა, რამდენადაც თხრობაში შეიყვანა ორი პერსონაჟი, რომლებიც ირონიული თვალით აღიქვამენ ვასიკო კეჟერაძეს; თითქოს ამ გზით მიგვითითა, რომ არც იმდენად გულუბრყვილოა, რომ ყველას დასანახად XX საუკუნის ბოლოს სააშკარაოზე გამოიტანოს თავისი გრძნობები. ამდენად, ჩვენს წინაშეა, ერთი მხრივ, წრფელი პოზიცია, მეორე მხრივ კი ამ პოზიციის ირონიზირება. მაგრამ, რაც მთავარია, მოთხრობაში შემოჭრილია მესამე პლასტი – ავტორისეული ირონია. ძნელი ამოსაცნობი არ არის, თუ ვის წინააღმდეგ მიმართავს თავის ირონიას ავტორი – სწორედ იმ პერსონაჟების წინააღმდეგ, ვინც, თავის მხრივ, ირონიას მიმართავს ჭეშმარიტებისადმი, სულიერებისადმი, ლიტერატურის სიყვარულისადმი. ამდენად, ერთი წრფელი გრძნობა ირონიის ორმაგი საფარველის ქვეშ არის წარმოდგენილი. მაგრამ ავტორისეული ირონია ჩვენ სწორედ იმისათვის გვჭირდება, რომ არ მივიღოთ თამაზისა და მისი ხელმძღვანელის პოზიცია, ვირწმუნოთ მისი სიმცდარე, ესე იგი, ვირწმუნოთ ლიტერატურის სიყვარულის ჭეშმარიტება. ავტორის მიზანი თითქოს სავსებით არ ეწინააღმდეგება ლიტერატურის ტრადიციულობას; იგი გვიხატავს გმირს, რომელსაც, ტრადიციისამებრ, უყვარს ლიტერატურა. მაგრამ ის ფორმა, რომლითაც მიზანი ხორციელდება, საკმაოდ გართულებულია; ეს გმირი ავტორმა ირონიის ორმაგი ნიღბით აღჭურვა. თავის პოზიციასაც კი კეჟერაძე გვამცნობს დიდ მწერალთა ავტორიტეტებით აღჭურვილი. მისი პრინციპები, ერთი მხრივ, უაღრესად ინდივიდუალურია, რამდენადაც სიღრმისეული სულიერი ძიებების შედეგად აქვს მოპოვებული, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ ძიებათა შედეგი არის მხოლოდ ის, რომ პიროვნება კაცობრიობის ზოგადი გამოცდილების არეალს შეუერთდა, შეიჭრა ლიტერატურულ ტექსტთა სამყაროში. ამასთანავე, ავტორი, რომელიც თავად არის აღსავსე ამ გამოცდილებით, გვესაუბრება ისევ და ისევ ლიტერატურის სამყაროს შესახებ. მისი აზრიც მხოლოდ იმდენად არის ავტორიტეტული, რამდენადაც დიდ ავტორიტეტებს ეყრდნობა. ეს კი სავსებით შეესაბამება პოსტმოდერნისტულ პოზიციას, რომელიც პოსმოდერნიზმის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ პროზაიკოსსა და თეორეიტიკოსს, უმბერტო ეკოს აგონებს იმ მამაკაცს, რომელსაც შეუყვარდა ძალიან განათლებული ქალი. მას ესმის, რომ ასე უბრალოდ ვერ ეტყვის ამ ქალს – „მე შენ სიგიჟემდე მიყვარხარ“, რადგან იცის, რომ მან იცის (ქალმა კი იცის, რომ კაცმაც იცის), რომ ასეთი სიტყვები უკვე დაიწერა ბაბარა ქართლანდის მიერ, ამიტომ მისი პრეროგატივად დარჩა. მაგრამ გამოსავალი მაინც არსებობს. მან უნდა თქვას: „როგორც ბარბარა ქართლანდი იტყოდა, მე შენ სიგიჟემდე მიყვარხარ“. ამგვარად ის თავიდან აიცილებს ყალბ უმანკოებას, რამდენადაც აშკარად აღიარა, რომ უმანკო საუბარი შესაძლებელი აღარ არის; მიუხედავად ამისა მაინც გამოთქვა ის, რისი თქმაც უნდოდა ქალისათვის – რომ მას ის უყვარს, მაგრამ უყვარს დაკარგული უმანკოების ხანაში. თუ ქალი მზად არის, მიიღოს ეს თამაში, ის მიხვდება, რომ სიყვარულის ახსნა სიყვარულის ახსნად დარჩა. არც ერთ თანამოსაუბრეს აღარ ძალუძს უბრალოება. მათ მხრებზე აწვებათ წარსული, ყველაფერი ის, რაც უკვე ითქვა, რასაც ვეღარსად გაექცევი. ორივე შეგნებულად და დიდი სიამოვნებით ებმება ირონიის თამაშში... და მაინც, მათ შეძლეს, კიდევ ერთხელ ელაპარაკათ სიყვარულზე“. სწორედ ასევე ლაპარაკობს სიყვარულზე გურამ დოჩანაშვილი მოთხრობაში „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“. ამასთანავე, ავტორი პირდაპირ გვეუბნება, რომ მისთვის ლიტერატურის სიყვარულს სწორედ ტექსტთან თანაზიარობის განცდისას მიღებული სიამოვნება განაპირობებს: „იყო მკითხველი, ეს თავისთავად სასწაულია“ – ამბობს აღტაცებული კეჟერაძე მას შემდეგ, რაც ვრცელ მონოლოგში ჩამოთვლის, თუ როგორი სიამოვნება შეიძლება მიიღოს კაცმა ტექსტის კითხვისას. გმირი პირდაპირ აცხადებს, რომ საბოლოო ჯამში ეს სიამოვნება უტოლდება პიროვნული თავისუფლების მიღწევას (იხ. მე-13 თავი), რაც შეიძლება გავიგოთ, როგორც საკუთარი „მე“-ს საზღვრების გადალახვა ან პირიქით – როგორც საკუთარ „მე“-სთან ჭეშმარიტი თანაზიარობა. რასაკვირველია, მთავარი გმირის მსჯელობა სავსებით ალოგიკურად მიიჩნევა თამაზისა და მისი ხელმძღვანელის მიერ. იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, თუ რამდენად ზუსტად შეიძლება შეესაბამებოდეს ავტორისეული პრინციპები ტექსტის აღქმის ზოგად თეორიას, მოვიყვანთ ფრაგმენტს ცნობილი ფრანგი ლიტერატურისმცოდნის, როლან ბარტის ნაშრომიდან „სიამოვნება ტექსტისაგან“: „წარმოვიდგინოთ ინდივიდი, რომელმაც გაანადგურა თავის თავში ყველა შინაგანი წინაღობა, ყველა საკლასიფიკაციო კატეგორია და ყველა გამონაკლისი – სურვილით, თავი დააღწიოს ძველთა-ძველ აჩრდილს, რომლის სახელია ლოგიკური წინააღმდეგობა. ასეთი ინდივიდი ერთმანეთში აურევდა ყველა შესაძლებელ ენას, იმათაც კი, რომლებსაც ურთიერთგამომრიცხავებად მიიჩნევენ. ის უხმოდ აიტანდა ყველა ბრალდებას ალოგიზმში, არათანმიმდევრულობაში; აუღელვებელი დარჩებოდა როგორც სოკრატული ირონიის პირისპირ (განა ადამიანის მხილება საკუთარ თავთან წინააღმდეგობაში მისი შერცხვენის უკიდურესი ფორმა არ არის?), ასევე შიშისმომგვრელი კანონის პირისპირ (რამდენი სასამართლო ბრალდება ეფუძნება პიროვნების მთლიანობის ფსიქოლოგიას); ჩვენს საზოგადოებაში ის გახდებოდა ზნეობრივი დაცემის განსახიერება: სასამართლოში, საგიჟეში, სკოლაში, მეგობრებთან საუბარში მას უცხოდ მიიჩნევდნენ. მართლაცდა, ვის შეუძლია თამამად აღიაროს, რომ ეწინააღმდეგება საკუთარ თავს? მიუხედავად ამისა, ასეთი კონტრგმირი არსებობს. ეს არის ტექსტის მკითხველი – სწორედ იმ მომენტში, როცა მისგან სიამოვნებას იღებს. ამ მომენტში ძველი ბიბლიური მითი კვლავ ბრუნდება ჩვენთან: ამიერიდან ენათა აღრევა აღარ არის სასჯელი. სუბიექტს საშუალება ეძლევა, ისიამოვნოს თავად იმ ფაქტით, რომ არსებობენ, მხარდამხარ მუშაობენ განსხვავებული ენები. ტექსტი-სიამოვნება – ეს ბედნიერი ბაბილონია“ (1,462). თამაზისა და მისი ხელმძღვანელის აზრით კეჟერაძე მართლაც ურევს ერთმანეთში ყველა ენას (იმ ტექსტების ენებს, რომელსაც ისინი არ ფლობენ) და იგი მართლაც ეწინააღმდეგება საკუთარ თავს. თავად კეჟერაძისათვის კი ეს წინააღმდეგობა არ არსებობს, რადგან მისთვის არ არსებობს წინააღმდეგობა განსხვავებულ მხატვრულ ტექსტთა ენებს შორის. ავტორიც ცხადად მიგვითითებს, რომ ყველა ლიტერატურული ტექსტის ენა ჭეშმარიტია, ამ ჭეშმარიტებას კი წარმოგვიჩენს ხელმძღვანელის ენის (ზოგადად კი – საბჭოური იდეოლოგიის ენის) ტოტალური სიყალბის ფონზე. მოთხრობა სწორედ ამ თავისებური მეტაენის ფონზე იწყება. ხელმძღვანელის ტერმინებით დამძიმებული, სინტაქსურად გართულებული და, ამავე დროს, გაუმართავი მეტყველება აშკარა პაროდიაა იმხანად გაბატონებული პოლიტიზირებული ენისა, რომლის მიღმაც არ დგას არსი, არ დგას ჭეშმარიტება, ამიტომ ეს ენა ბოროტი ძალის აგრესიის განცდას აღძრავს. აქვე უნდა ითქვას, რომ თავად ხელმძღვანელის პერსონაჟი პაროდირებაა სოციალისტური ხელმძღვანელის ტიპისა (მას პიროვნული სახელი არც კი გააჩნია მოთხრობაში). ამასთანავე, მწერალი მიგვითითებს, რომ ის მხოლოდ მისი ხელმძღვანელია, ვინც თავს მისდამი დაქვემდებარებულად მიიჩნევს. მაგრამ ამ ხელმძღვანელობის არეში, თამაზისაგან განსხვავებით, სრულიადაც არ შედიან ვასიკო კეჟერაძე და კლიმი. ავტორი, როგორც თავისი დროის ოპტიმისტი, მიგვანიშნებს, რომ თუ კაცი ცხოვრობს სულიერი ფასეულობებით (ამ შემთხვევაში – ლიტერატურის სიყვარულით; სხვა შემთხვევაში - თუნდაც, ერთი რამის სიყვარულით, დაფარვა რომ სჭირდება), მაშინ მას შეუძლია, თავი დაიხსნას თვით ტოტალიტარული ხელმძღვანელობის რეჟიმისგანაც.

მაგრამ თავად მოთხრობაში ვასიკო კეჟერაძისა და ხელმძღვანელის პოზიციათა დაპირისპირება წარმოჩნდება სწორედ ენობრივ დონეზე: საბჭოური იდეოლოგიის მეტაენისა და მხატვრულ ტექსტთა ენის დაპირისპირების მეშვეობით. მაგრამ, გარდა ამისა, ეს წინააღმდეგობა გამოკვეთილია სოციალურ სფეროსთან მიმართებითაც. შემთხვევითი არ არის, რომ ხელმძღვანელი და თამაზი სოციოლოგები არიან, რომ ვასილ კეჟერაძე სწორედ მათ სოციოლოგიურ გამოკვლევას აფერხებს. ამ გამოკვლევის მიხედვით, სოციოლოგიის პრინციპების შესაბამისად, შედგენილია საერთო სქემა, რომელსაც უნდა დაემორჩილოს საღი აზრისა და ლოგიკური აზროვნების უნარის მქონე ყველა ინდივიდი (რომლებიც ავტორის მიერ არც კი მიიჩნევიან ინდივიდებად, ინდივიდუალური შინაგანი სამყაროს მფლობელებად). ნიშანდობლივია, რომ გამოკვლევა უნდა ასახავდეს „ქალაქის ტიპის დასახლებაში მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთა ყოველდღიური საქციელის ასპექტებს“, ანუ ადამიანთა ყოფასა და თავისუფალ დროს ურბანისტულ გარემოში. გურამ დოჩანაშვილთან, პოსტმოდენიზმის პოზიციის თანახმად, კვლავ გვხვდება ურბანიზმის მოდერნისტული პრობლემა, ოღონდ ამჯერად ის საკმაო სიმსუბუქითა და ირონიულობით არის დამუშავებული. აქ იგრძნობა ირონია არა მხოლოდ მოდერნიზმისეული ურბანიზმის, არამედ სოციალიზმისეული პოლიტიზირებული ქალაქური მოდელის წინააღმდეგაც, რამდენადაც საბჭოური იდეოლოგიის „ზრუნვა“ მშრომელებზე, ბუნებრივია, გულისხმობდა სწორედ იმ პიროვნული თავისუფლების აღკვეთას, რომლის მოპოვების გზასაც სახავს ავტორი. ამასთანავე, პიროვნების ამგვარი ინდივიდუალიზმი ეწინააღმდეგება საზოგადოების, სოციუმის ბუნებას. მაგრამ რამდენად უკავშირდება ეს პრობლემა ლიტერატურის სიყვარულს, ტექსტის კითხვას? რ. ბარტის მიხედვითაც „ყოფით ადამიანურ ურთიერთობათა ზღვაში ტექსტი თავისებური კუნძულია. ის ამტკიცებს სიამოვნების ასოციალურ ბუნებას (სოციალურია მხოლოდ თავისუფალი დრო) და საშუალებას გვაძლევს, შევნიშნოთ იმ ჭეშმარიტების სკანდალურობა, რომელიც მდგომარეობს სიამოვნებაში. სიამოვნება – თუ დავიწყებთ ყველა სახეობრივ ასოციაციას, რომელიც უკავშირდება ამ სიტყვას – ყოველთვის ნეიტრალურია“. სწორედ ნეიტრალურობის, შინაგანი ავტონომიურობის გამო ხდება კეჟერაძე ამდენად საშიში საბჭოური სოციოლოგიისათვის, მაგრამ საკითხავია, რატომ ვერ ახერხებს გარემო და იდეოლოგია მის შინაგან არსებაში შეჭრას თუნდაც მაშინ, როცა ის არ არის ტექსტის კითხვის პროცესში? ავტორის პასუხი აქაც სავსებით მარტივია: ის სულიერად და ცნობიერად ყოველთვის რჩება ტექსტთან. ის დროს არ ჰკარგავს რიგში ან გაჭედილ ტრამვაიში დგომისას, რადგან ამ წუთებშიც ფიქრობს წაკითხულზე. სწორედ ამიტომ გარერეალობა ვერ იჭრება მის შინაგან არსებაში. მხატვრული სივრცის თვალსაზრისითაც ნაწარმოებში ერთმანეთს უპირისპირდება გარესამყარო და კეჟერაძის ფოტოატელიე. ანტაგონისტური წყვილებიც, ფაქტობრივად, სხვადასხვა სამყაროს განეკუთვნებიან; ერთნი – ფოტოგრაფის ატელიეში დაცულ, რეალობისაგან შეუვალ მიკროსამყაროს, მეორენი – ურბანისტულ სოციალურ გარემოს, საბჭოური იდეოლოგიით გაჯერებულს. ბუნებრივია, სწორედ ამ გარემოსაგან იცავს თავს ვასიკო კეჟერაძე თავის ფოტოატელიეში; არა მხოლოდ იცავს თავს, არამედ ცდილობს, სხვებიც კი ჩაითრიოს. თავად გარესამყარო კი ვერასგზით ვერ ჩაითრევს მას, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, მაშინაც კი, როცა თავისი ატელიედან გამოდის, ის ინარჩუნებს შინაგან ავტონომიას, მისი სული და გონება შეუვალია.

Junior Achievement
GEORGIA

ასოციაცია „ჯუნიორ ეჩივმენტ-საქართველო“ იწყებს ახალ, 2010 წლის სატრენინგო სეზონს

1. სკოლის სტრატეგიული გეგმის შედგენა

დასაწყისი: ჯგუფის შედგენისას, 12.00 სთ.
პროექტის ხანგრძლივობა: 2 დღე. 12.00-17.00 სთ. / პროგრამა 1 კრედიტიანია
ტრენინგზე განიხილება: სტრატეგიული გეგმის არსი (მოდელირება)
ხუთი ქუდის პრინციპი
სტრატეგიული გეგმის ფორმა
ფასი: 100 ლარი
მსმენელებს გადაეცემათ: შესაბამისი ბროშურა და სერტიფიკატი.
რეგისტრაციის ბოლო ვადა: 23 აპრილი, 16.00სთ.
/ მისაღებია სატელეფონო რეგისტრაცია

2. საჯარო სკოლის საქმეთა მმართველის უფლება-მოვალეობები

დასაწყისი: ჯგუფის შედგენისას, 12.00 სთ.
პროექტის ხანგრძლივობა: 2 დღე. 12.00-17.00 სთ. / პროგრამა 1 კრედიტიანია
ტრენინგზე განიხილება: სკოლის სტრუქტურა და
მის წარმომადგენლებთან ურთიერთობა
საქმეთა მმართველის როლი სკოლაში
საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება (პრაქტიკული მაგალითებით)
დიალოგი ექსპერტთან
ფასი: 70 ლარი
მსმენელებს გადაეცემათ: შესაბამისი ბროშურა და სერტიფიკატი.
რეგისტრაციის ბოლო ვადა: 23 აპრილი, 16.00სთ.
/ მისაღებია სატელეფონო რეგისტრაცია

3. სკოლის დამრიგებლის გადამზადება

დასაწყისი: ჯგუფის შედგენისას, 12.00 სთ.
პროექტის ხანგრძლივობა: 2 დღე. 12.00-17.00 სთ. / პროგრამა 1 კრედიტიანია
ტრენინგზე განიხილება: დამრიგებლის როლი და ადგილი სკოლაში
სადამრიგებლო პროექტების განხორციელება
თემთან ურთიერთობის პრინციპები
დამრიგებლის იმიჯი. მოსწავლის იმიჯი
კლასის შინაგანაწესი და დისციპლინა
დამრიგებლის სამოქმედო გეგმის ძირითადი ფორმა და მისი შევსება
ფასი: 50 ლარი
მსმენელებს გადაეცემათ: შესაბამისი ბროშურა და სერტიფიკატი.
რეგისტრაციის ბოლო ვადა: 23 აპრილი, 16.00სთ.
/ მისაღებია სატელეფონო რეგისტრაცია

მსურველებს ვთხოვთ, წარმოადგინონ პირადობისა და დიპლომის ასლები

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
893 21 42 20 – მირანდა (ოფისის მენეჯერი);
893 10 44 25 – ნინო (ტრენინგების მენეჯერი)
მისამართი: თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. №6,
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი – ალმა მატერი, II სართული

ანგარიშსწორება შესაძლებელია როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით, ასევე გადარიცხვით.
ჩვენი საბანკო რეკვიზიტებია: „ვი თი ბი ჯორჯია“ ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 2 2 0 1 0 1 6 6 6 , საიდენტიფიკაციო კოდი: 2 0 4 9 9 7 9 2 2 ,
ანგარიშსწორების ანგარიში: 2 5 2 0 3 6 0 8.

უმაღლესი საზღვაო სასწავლებელი ევროპულ სტანდარტებს უახლოვდება

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **გიორგი ჩახნაშვილი** ბათუმის საზღვაო აკადემიაში სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო. აკადემიის ერთ-ერთი სასწავლო კორპუსის რეაბილიტაციისათვის, 2009 წელს, პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის „უმაღლესი სასწავლებლის რეაბილიტაცია“ ფარგლებში, სამინისტროს მიერ 49 310 ლარი გამოიყო. აღნიშნული თანხით სხვადასხვა სარემონტო სამუშაო განხორციელდა.

ბათუმის საზღვაო აკადემია საქართველოში ერთადერთი უმაღლესი საზღვაო სასწავლებელია, სადაც პროფესიულ, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე 1621 სტუდენტი სწავლობს.

2006 წელს პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის „უმაღლესი სასწავლებლის რეაბილიტაცია“ ფარგლებში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხებით (670000 ლარი) აკადემიაში თანამედროვე ტიპის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი საზღვაო სასწავლო საწვრთნელ-ტრენაჟორული ცენტრი ამოქმედდა. შეძენილ იქნა 5530 ლარის ინვენტარი, 119610 ლარის კომპიუტერული ტექნიკა და 78584 ლარით შესრულდა ბიბლიოთეკის გაფართოების სამუშაოები. აკადემიამ სამინისტროს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში 18840 ლარის ოდენობის გრანტი მოიპოვა და უახლესი საზღვაო კონვენციური, სახელმძღვანელო და სამეცნიერო ლიტერატურით შეავსო ბიბლიოთეკა.

გიორგი ჩახნაშვილის განცხადებით, ძალზე მნიშვნელოვანია უმაღლესი სასწავლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის, ტექნიკური და მატერიალური აღჭურვილობის თანამედროვე ევროპულ სტანდარტებთან თავსებადობა. ყოველივე ეს, განახლებულ სასწავლო პროგრამებთან ერთად, უზრუნველყოფს ხარისხიანი უმაღლესი განათლების მიღებას.

ს.ს.ი.პ. საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
განცხადება

საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი ქართველ მეცნიერებთან ერთად, ამა წლის 1 აპრილიდან, იწყებს პროექტის **„სამეცნიერო-პოპულარული ლექციები საჯარო სკოლებისათვის 2010“** განხორციელებას.

პროგრამის მიზანია სკოლის მოსწავლეებში მეცნიერების პოპულარიზაციის ხელშეწყობა, მეცნიერების მიღწევების და სიახლეების გაცნობა, თანამედროვე სამეცნიერო ცოდნის მიწოდება და მოსწავლეთა დაინტერესება მეცნიერებით. პროგრამა 2008 წლიდან წარმატებით ხორციელდება X, XI და XII კლასის მოსწავლეებისთვის სამეცნიერო-პოპულარული ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობების სახით.

ლექციები გაიმართება ქალაქებში: **თბილისი, თელავი, მცხეთა, გორი, ქუთაისი, სენაკი, რუსთავი, ახალქალაქი, ოზურგეთი, ფოთი, ხელვაჩაური, ბორჯომი, ონი, მესტია.**

სამეცნიერო-პოპულარული ლექციების ჩატარების განრიგი მიმართულებების მიხედვით (1 აპრილიდან 30 ივნისის ჩათვლით)

თბილისში, თელავში, მცხეთაში, ხელვაჩაურში, ფოთში, ონში, ოზურგეთში ლექციებს წაიკითხავენ:

გეოგრაფია, გეოლოგია, ეკოლოგია – მეცნიერებათა დოქტორი გიორგი დვალიშვილი;
ქიმია – მეცნიერებათა დოქტორი ქეთევან კუპატაძე;
საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები – მეცნიერებათა დოქტორი კახაბერ თავზარაშვილი;
ბიოლოგია და მედიცინა – მეცნიერებათა დოქტორი ლევან გულუა;
ასტრონომია და კოსმოლოგია – მეცნიერებათა დოქტორი გიორგი რამიშვილი;
მათემატიკა – მეცნიერებათა დოქტორი ანა დანელია;
ფიზიკა – მეცნიერებათა დოქტორი გიორგი სახელაშვილი.

რუსთავში, გორში, ახალქალაქში, ბორჯომში, ქუთაისში, სენაკში, მესტიაში ლექციებს წაიკითხავენ:

გეოგრაფია, გეოლოგია, ეკოლოგია – მეცნიერებათა დოქტორი ქეთევან ლატარია;
ქიმია – მეცნიერებათა დოქტორი ელიზბარ ელიზბარაშვილი;
საინჟინრო მეცნიერებები – მეცნიერებათა დოქტორი სერგო ესაძე;
ბიოლოგია და მედიცინა – მეცნიერებათა დოქტორი დავით ჯიქია;
ასტრონომია და კოსმოლოგია – მეცნიერებათა დოქტორი ილია ლომიძე;
მათემატიკა – მეცნიერებათა დოქტორი ილია თავხელიძე;
ფიზიკა – მეცნიერებათა დოქტორი თეიმურაზ ჩიჩუა.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრებს, ასევე, იხილეთ საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ვებგვერდი: **www.gnsf.ge**

საკონტაქტო პირი: **მაია ჭანტურია** – პროგრამის კოორდინატორი
ტელეფონი: 95 17 52, ელფოსტა: **chanturia@gnsf.ge**

სახელობო განათლება

მეტი მოტივაცია თითოეული ახალგაზრდისთვის

უკვე მეორე სასწავლო წელია, სახელობო განათლება სასკოლო კურიკულუმის ნაწილი გახდა, რაც იმას ნიშნავს, რომ XI-XII კლასელებს შესაძლებლობა აქვთ, აირჩიონ და შეისწავლონ სახელობო სპეციალობები. პროექტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩვენი გაზეთი დაინტერესდა, როგორ მიმდინარეობს სწავლება საპილოტე სკოლებში და რამდენიმე მათგანს ეწვია.

პირველი, რაც ყველა მოსწავლისა და მასწავლებლის საერთო აზრია, ეს პროექტის პრაქტიკული მნიშვნელობაა, რაც ქმნის (ან უნდა ქმნიდეს) მოტივაციას თითოეული ახალგაზრდისთვის. თუმცა არსებობს მიზეზები, რომელთა გამო სახელობო განათლებას ვერ ექნება ის შედეგი, რასაც პროექტის ავტორები (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი) და მასში ჩართული ახალგაზრდები ელიან. ვგულისხმობთ პროექტის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, რომელიც, რაღაც დოზით ყველა სკოლაშია, მაგრამ, ძირითადად, სახელდახელოდ, დროებითი სარგებლობისთვის მოწყობილ კაბინეტებს უფრო ჰგავს, ვიდრე სპეციალობის შესასწავლად საჭირო, სათანადოდ აღჭურვილ სახელოსნოებს. მეორე, ასევე ძალზე სერიოზული ფაქტორია ის, რომ პროექტი განკუთვნილია XI-XII-კლასელებისათვის. მოსწავლეები ამბობენ, რომ მათ აინტერესებთ შეთავაზებული სახელობო სპეციალობები, მაგრამ დრო არ აქვთ მათ შესასწავლად. მოგეხსენებათ, XII-კლასელთა, თითქმის, 100% აბიტურიენტია და რეპეტიტორებთან დადის. მაგალითად, თბილისის 24-ე საჯარო სკოლაში ამ მხრივ შედარებით უკეთესი ვითარებაა იმიტომ, რომ სკოლამ კომპიუტერული სწავლება აირჩია. პედაგოგი **ნონა ჯინჭარაძე** ამბობს, რომ შემოთავაზებული გრაფიკა-დაკაბადონებიდან ბავშვებმა დაკაბადონება აირჩიეს. შარშან მეცადინეობა შუა სასწავლო წლიდან დაიწყეს 5 კომპიუტერით, დღეისათვის 8 კომპიუტერი აქვთ, წლის ბოლომდე კიდევ დაემატებათ. მიუხედავად იმისა, რომ ინტერესი არის და ბავშვები კარგად ითვისებენ ამ არც თუ იოლ საქმეს, XI-XII-კლასელთა ძალზე მცირე ნაწილია ჩართული პროექტში, ძირითადად, XI-კლასელები. მათ უკვე შეისწავლეს საოფისე პროგრამა და ფოტოშოპი, სწავლობენ საგამომცემლო პროგრამას, მუშაობენ სააღდგომო გაზეთის გამოცემისთვის, გეგმაში აქვთ აგრეთვე იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი სპეციალური ნაბეჭდი პროდუქციის გამოცემა. უნდათ, რომ ეს სიურპრიზი იყოს დირექტორისა და მთლიანად სკოლისათვის. კურსის დასრულების შემდეგ პროექტში მონაწილეები მიიღებენ სერტიფიკატს გრაფიკა-დაკაბადონების კურსით.

XI^{ბ} კლასელი **მარი გაბროშიძე** მიიჩნევს, რომ ეს ძალიან კარგი და საჭირო სპეციალობაა, მაგრამ *„ჩვენ XI და XII კლასში სხვა ინტერესი გვაქვს. როცა VII გაკვეთილია სახელობო საგანი, ვეღარ ვესწრებით, სურვილი კი გვაქვს, მაგრამ დრო არ გვყოფნის. მე ბიზნესის მართვისა და მენეჯმენტის განხრით მინდა ჩავაბარო, ამიტომ ვცდილობ, არ გავაცდინო გაკვეთილი და რაც შეიძლება კარგად დავეუფლო კომპიუტერულ საქმეს. დღეისათვის ეს ხომ ყველა სამსახურშია საჭირო, თუ კარგად შეისწავლი, შეიძლება მეორადი პროფესია შემოსავლის წყაროდაც გამოგადგეს. ვფიქრობ, უკეთესი იქნება თუ უფრო ადრე – VIII-IX კლასებში დაიწყება მისი შესწავლა“.* ასევე ფიქრობს მარის კლასელი **გოგიტა პაპალაშვილი**. მას პროფესია არ აქვს არჩეული, მაგრამ ზუსტად იცის, რომ ამ საქმის ცოდნა ყოველთვის გამოადგება რომელ სფეროშიც უნდა დასაქმდეს მომავალში.

26-ე საჯარო სკოლაში შარშან თექაზე მუშაობას სწავლობდნენ. წელს სკოლამ ტიხრული მინანქარი აირჩია და მის შესწავლაში ვაჟებიც დიდი მონდომებით ჩაერთვნენ.

ლიდა ნოდია, სკოლის დირექტორი: *„2008-2009 სასწავლო წელს ორ სპეციალობაზე შევიტანეთ განაცხადი განათლების სამინისტროში და ორივე დაგვიმტკიცეს. თანხა დროულად ჩაგვერიცხა და შეძლებისდაგვარად კაბინეტიც მოვაწყვეთ. შარშან მხოლოდ თექაზე მუშაობას სწავლობდნენ. ჩვენი გოგონების ნამუშევრები შენახული გვაქვს. წელს ტიხრული მინანქრით უფრო დაინტერესდნენ და ალბათ მასწავლებლის, **ქეთევან თედორაძის** დამსახურებაა, რომ მოკლე დროში ბავშვებს საქმეც შეაყვარა, შეასწავლა და გამოფენაც მოაწყო, რომელიც მარტო მშობლებმა და სკოლის მოსწავლეებმა კი არა, ბებია-ბაბუებმაც დაათვალიერეს.*

ზოგადად, სახელობო განათლება ძალიან კარგი და საჭირო წამოწყებაა. სხვადასხვა სკოლაში სხვადასხვა ხელობა უნდა ისწავლებოდეს და მოსწავლეს ჰქონდეს არჩევანის უფლება, თუ ის არ მოსწონს, რასაც მის სკოლაში სთავაზობენ, სხვა სკოლაში დაესწროს სახელობო გაკვეთილებს. დარწმუნებული ვარ, დიდი მოთხოვნა იქნება ჭრა-კერვის, მოდელირების შესწავლაზე, რაც თავისუფლად შესაძლებელია VIII-IX კლასებში ისწავლებოდეს, XII-კლასელებს სხვა მიზნები აქვთ და ინტერესის მიუხედავად ვერ ეუფლებიან ხოლმე სკოლის მიერ შეთავაზებულ სპეციალობას. თუმცა, ვფიქრობ, რომ ტიხრული მინანქრის შემოტანამ გაამართლა.“

ქალბატონი ქეთევანი პროფესიით მხატვარ-დიზაინერია და XI-XII კლასს ხელოვნებას ასწავლის თან XII კლასის დამრიგებელია. ბავშვები ამბობენ, რომ იმდენად პატივს სცემენ თავიანთ მასწავლებელს და ენდობიან, რომ თავდაპირველად ეს საგანი მისი ხათრით აირჩიეს. რამდენიმე გაკვეთილის შემდეგ კი მოხდა ისე, რომ სერიოზულად დაინტერესდნენ ტიხრული მინანქრის ტექნოლოგიით და ახლა მთელი სერიოზულობით ეკიდებიან მის შესწავლას. *„პროექტი თავად დავწერე, ბავშვებმაც ამიბეს მხარი, დაინტერესდნენ, ყველა ერთნაირად ვერა, მაგრამ მეტ-ნაკლებად ითვისებენ ამ პროფესიას, რომელიც უთუოდ გამოადგებათ ცხოვრებაში. აი, მაგალითად თენგო ჭიაურელმა პროფესიადაც აირჩია და აკადემიაში აპირებს ჩაბარებას. მასალა სკოლის ხარჯებით შევიძინეთ, ჯერჯერობით გვყოფნის, მაგრამ ალბათ, მალე ისევ შესაძენი გვექნება ისეთი შემართებით მუშაობენ. საერთოდ ძალიან კარგი საქმეა, მაგრამ იქნებ სჯობდეს VIII-XI კლასებში შეისწავლონ არჩეული ხელობა მოსწავლეებმა, XII-კლასელებს ამისთვის არ სცალიათ“* – ამბობს ქალბატონი ქეთევანი.

თორნიკე ყოლბაია, XII კლასი: *„საუკეთესო მასწავლებელი და დამრიგებელი გვყავს. ჩვენი არჩევანიც ამან განაპირობა, მაგრამ ახლა უპირატესობას საუნივერსიტეტო საგნებს ვანიჭებ და მთელი დატვირთვით ვერ ვმუშაობ, სჯობდა, შარშან ან შარშანწინ გვესწავლა“.*

სალომე ცხადაია და **ნინო კედია** თავიანთ პატარა სახელოსნოში მზა პროდუქციას რეცხავდნენ, მერე გააპრიალებენ და მათი შრომის შედეგი საბოლოო სახეს მიიღებს. *„თავდაპირველად ტიხრული მინანქრის შესწავლის გადაწყვეტილება ქეთი მასწავლებლის ხათრით მივიღეთ. შეიძლება ეს უფრო რთულია, ვიდრე თექაზე მუშაობა, მაგრამ უფრო სახალისოა, ბევრი კირკიტი სჭირდება. მე ეროვნული გამოცდებისთვის კი ვემზადები, მაგრამ ამ ხელობას მაინც ვსწავლობ, საბანკო საქმეზე მინდა ჩავაბარო, ეს ჩემი მეორადი პროფესია იქნება. მშვენიერი, გამოსადეგი ხელობაა. ვიყიდი მოწყობილობებს და სახლში ვიმუშავებ. სალომემ კი ტიხრული მინანქარი პროფესიად აირჩია, იგი მეტ დროს უთმობს მომავალი პროფესიის შესწავლას, რადგან არ ემზადება და ამის საშუალება აქვს. სხვათა შორის გაკვეთილების შემდეგ ხშირად შემოდიან VII-კლასელები, აინტერესებთ ეს საქმე, ვფიქრობ დაბალ კლასში უფრო სწორი იქნება სახელობო პროფესიის შესწავლა, ამისთვის მეტი დროა VIII-IX კლასებში, მერე უკვე ძალიან დატვირთულები ვართ“.*

საპილოტე სკოლათა შორის მცხეთის 1-ელი საჯარო სკოლაცაა. აქ გიდის ხელოვნებას, ავტოსაქმესა და მედია-ვებტექნოლოგიებს შეუძლიათ დაეუფლონ მსურველები, პროფილური სწავლება აქაც შარშან დაიწყო. მედია-ვებტექნოლოგიების პედაგოგი **მაია კავაზაშვილი** კომპიუტერებით აღჭურვილ კაბინეტს გვათვალიერებინებს, სადაც თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობა მიმდინარეობს. პროგრამა თავად შეადგინეს განათლების სამინისტროსთან კონსულტაციით. წელს მეტად გამოიკვეთა დაინტერესება, ზოგს პროგრამები აინტერესებს, ზოგს სისტემური მხარე. კვირაში 3 გაკვეთილი ტარდება და დასწრება (15 მსოწავლე) ყოველთვის კარგია.

გიდის სპეციალობის შესწავლას **ელენე კაპანაძე** უძღვება. იგი რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია, მაგრამ წლების განმავლობაში თავად მუშაობდა გიდად, ასე რომ, გამოცდილება დიდი აქვს. ამბობს, რომ კარგი გიდი ქალაქის საუკეთესო სავიზიტო ბარათია. მას ისე აქვს შედგენილი პროგრამა, ისეთ დეტალებსა თუ წვრილმანებს ასწავლის, რომ საჭიროების შემთხვევაში გიდობაც შეძლონ და ექსკურსიამძღოლობაც. *„XI კლასში კიდევ არაუშავს, XII-ში მიჭირს ბავშვების შეკრება,* – ამბობს ქალბატონი ელენე, – *ზოგი დილით დადის რეპეტიტორთან, ზოგი – შუადღისას, არადა მცხეთელი ახალგაზრდა უკეთეს სპეციალობას ვერც ინატრებს. გაუგებარია, რატომ ისწრაფის ყველა მეთორმეტეკლასელი უმაღლესში ჩასაბარებლად, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა შესაფერისი მომზადება. ახლაც, ამ ასაკშიც მეძლევა ხოლმე საშუალება ჩემი შრომით, თანაც როგორი სასიამოვნო შრომით, მივიღო დამატებითი ანაზღაურება. მიკვირს, რატომ მეტ ინტერესს არ იჩენენ? ალბათ, იმიტომ, რომ ჩვენმა შვილებმა არ იციან შრომის ფასი და არც მშობლის შრომას აფასებენ. წელს XII კლასიდან 16 ბავშვი მყავდა, რამდენიმე სხვა სკოლაში გადავიდა, სადაც გაკვეთილებზე დასწრებას არ სთხოვენ და დარჩა 12. ისინიც არ დადიან, რეპეტიტორებთან მეცადინეობენ. ვინც დადის, ჰკითხეთ, რამდენი რამ ისწავლეს. კვირაში თითო საათი ხომ ცოტაა, მაგრამ მაინც ბევრის მომცემია, ეს არ არის მხოლოდ ქალაქის ისტორიის ცოდნა. ამ ცოდნას მსმენელამდე მიტანის კულტურა სჭირდება. გიდი მუდამ მიმზიდველად უნდა გამოიყურებოდეს, მნიშვნელობა აქვს ყველაფერს – ჩაცმის მანერას, მაკიაჟს, ღიმილით, საინტერესოდ უნდა ყვებოდე, ისე, რომ შთაბეჭდილება მოახდინო, დააინტერესო, დაბრუნების სურვილი აღუძრა. ესეც ხელოვნებაა. ეს ისეთი ცოდნაა, რომელიც ყოველთვის გამოგადგება“.*

ლია თათარაშვილი ამბობს, რომ არჩევანით კმაყოფილია. კვირაში 1 საათი ცოტაა, ხანდახან ერთი ობიექტის დამთავრებასაც კი ვერ ასწრებენ ისეთი მრავალფეროვანი ინფორმაციის მატარებელია, მასწავლებლითაც კმაყოფილია. წინა კლასებში რომ ჰქონოდათ ამ პროფესიის შესწავლის შესაძლებლობა, უკეთესი იქნებოდა.

ანა თათიკაშვილი: *„იმდენი ახალი რამ გავიგე მცხეთის შესახებ, აქამდეც რომ უნდა მცოდნოდა. ვისწავლეთ ასომთავრული დამწერლობა, ჩათვლაც გვქონდა, კონსპექტებსაც გვაწერინებს ელენე მასწავლებელი, ექსკურსიებზე დავყავართ. დიზაინერი მინდა გავხდე და მომავალში ალბათ პირადი სტუმრებიც მეყოლება, იმედი მაქვს, კარგ მეგზურობას გავუწევ მათ“.*

პროექტის მიზანიც ხომ ისაა, მოამზადოს ახალგაზრდა კონკრეტულ სახელობო სპეციალობაში, რითაც შექმნის მისი სამომავლო დასაქმების წინაპირობას. ეს კი იმდენად მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომ იქნებ მართლაც ღირდეს მეთორმეტეკლასელებისა და მათი პედაგოგების მოსაზრების გათვალისწინება.

ანა ფირცხალაიშვილი

 თვალსაზრისი

გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციას

ვარ შუახევის საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი. პედაგოგიურ მუშაობას ვეწევი ორმოცი წელია. ვარ საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, ღირსების ორდენის კავალერი, სოროსის გრანტის მფლობელი, მეცნიერ-მუშაკი. წლების განმავლობაში ვმუშაობდი სკოლის დირექტორად, განათლების განყოფილების გამგედ, ვკითხულობდი ლექციებს ბათუმის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში. სისტემატურად ვმონაწილეობდი მასწავლებელთა რაიონულ, რესპუბლიკურ და საკავშირო პედაგოგიურ კითხვებში. ვმონაწილეობდი სკოლის ტიპური დებულებისა და წესდების შემმუშავებელ ტრენინგებში. მონაწილეობა მივიღე სკოლის დირექტორთა შესარჩევ კონკურსში და რაიონში პირველ ადგილზე გავედი. გავლილი მაქვს სკოლის ხელმძღვანელთა ტრენინგები თბილისში, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში. გამოქვეყნებული მაქვს ნაშრომები მოსწავლეთა სწავლისა და აღზრდის საკითხეზე.

ცოტა მოგაბეზრეთ თავი ჩემი რეგალიების ჩამოთვლით, მაგრამ, ერთი სიტყვით, ვიცნობ სკოლის, მოსწავლეთა სწავლისა და აღზრდის საქმეს. დღეს მოსწავლეთა შედეგებზე ორიენტირებული სწავლებაა. მასწავლებელს ამ საქმეში მთავარი ადგილი უჭირავს. მის თეორიულ და მეთოდურ ცოდნაზე დადაა დამოკიდებული სწავლებისა და აღზრდის საქმე. მივესალმები მასწავლებელთა სერტიფიცირებას, მაგრამ მაქვს ჩემი მოსაზრება, რომელთა გათვალისწინება, ჩემი აზრით, უფრო უკეთეს შედეგს მოგვცემს.

მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ მასწავლებელი მომზადებული შეხვდეს სასერტიფიკაციო გამოცდებს, რადგან თუ მასწავლებელი ამ გამოცდებზე ჩაიჭრა, ეს მისთვის დიდი დარტყმა იქნება, რადგან შერცხვენილი მასწავლებელი, ჩემი აზრით, გაკვეთილებზე ვეღარ შევა! ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია, მასწავლებელი მოემზადოს გამოცდებისათვის. ამას კი დრო სჭირდება. ახლა სასწავლო პროცესია და მასწავლებელი ამ პროცესით არის დაკავებული. გარდა ამისა, მაისის ბოლოს ტარდება ადგილობრივი მნიშვნელობის არჩევნები, რომელშიც ასე თუ ისე მასწავლებელი ჩართვება. იმისათვის, რომ პედაგოგი გამოცდებისათვის მოემზადოს, მიზანშეწონილად მიმაჩნია გამოცდები ჩატარდეს სექტემბერ-ოქტომბერში, რათა შვებულების დროს მოემზადოს გამოცდებისათვის.

მასწავლებელს გამოცდებისათვის მოსამზადებლად სრულყოფილი მასალა ესაჭიროება. ჩემი აზრით უმჯობესია გამოქვეყნდეს მასწავლებელთა ტესტური გამოცდების კრებული, საიდანაც ამოღებული იქნება საგამოცდო ტესტები. თუ იგი ფინანსებთან არის დაკავშირებული, მასწავლებელი შეიძენს ამ ტესტებს და ზაფხულის თვეში მოემზადება გამოცდებისათვის. თუ ეს ხდება საჯარო მოხელის საარჩევნო კომისიის წევრების შერჩევისას, რატომ არ შეიძლება მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების დროს მოხდეს.

ვფიქრობ, ბარიერს გადახედვა სჭირდება. სკოლის დირექტორის საკონკურსო შერჩევის დროს ბარიერი 30%-ს შეადგენდა. ეს რომ დავტოვოთ ნუთუ არ შეიძლება? (პროფესიული უნარების გამოცდებისათვის მასწავლებელს მეტი მუშაობა დასჭირდება). პედაგოგები, რომლებმაც რამდენიმე წლის წინათ დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებელი, სხვა პედაგოგთა შეხედულებებს სწავლობდნენ, ახლა უმაღლეს სასწავლებლებში პედაგოგიკა საერთოდ არ ისწავლება. ამიტომ პედაგოგებს თავიდან მოუწევთ ამ იდეების შეთვისება.

დაბოლოს, ეს გამოცდები სკოლის ხელმძღვანელთა საკონკურსო გამოცდებს არ დაემსგავსოს, რადგან მაშინდელმა კომისიებმა 20%-ში მოხვედრილ პირებზე ინადირეს და გასაუბრება და ლოტოტრონი პარტიული ნიშნით მოხდა.

პატივისცემით,
თეიმურაზ დავითაძე
შუახევის რაიონის დაბა შუახევის საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი

ზოგიერთი უთემისნიშნო და მეშველზმნიანი ზმნების მართლწერის შესახებ

უთემისნიშნო ზმნა ბევრი არ გვაქვს. მაგრამ, რაც გვაქვს, სწორად ვერ წარმოვთქვამთ და ვერ ვწერთ. მათ ერთთემიან და ფუძედრეკად ზმნებს უწოდებენ. ვასახელებთ ზოგ მათგანს:

ვ-ბერტყ	*ვი-ღებ*
ვ-თეს	*ვ-ღობ*
ვ-თიბ	*ვ-ჩეხ*
ვ-კეც	*ვ-ჩეჩ*
ვ-ნაყ	*ვ-ჭედ*
ვ-რეცხ	*ვ-ხეხ*
ვ-ტეხ	*ვ-ხვეჭ*
ვ-ქექ	

დასახელებული ზმნების უმეტესობამ დღევანდელ სალიტერატურო ქართულში **ავ** თემის ნიშანი დაირთო და მივიღეთ: *ვ-ბერტყ-ავ, ვ-თეს-ავ, ვ-კეც-ავ, ვ-ღებ-ავ, ვ-ჩეჩ-ავ, ვ-ჭედ-ავ, ვ-ხვეჭ-ავ* და სხვ.

ასეთ ზმნათაგან უმეტესობა ხმოვანმონაცვლე-ფუძედრეკადია, რაც იმას ნიშნავს, აწმყო დროიდან რომ გადავიყვანთ წყვეტილ (ნამყო, ანუ წარსულ) დროში, ფუძის ხმოვანი **ე** შეეცვლებათ **ი**-თ, მაგალითად: *ვ-გ-რეხ – ვ-გვრი-ხე, ვ-ჩხვლეტ – ვ-ჩხვლი-ტე, ვ-წყვეტ – ვწყვ-ი-ტე, ვ-ჩხრ-ეკ – ვ-ჩხრ-ი-კე* და სხვ. გამოთქმულია აზრი, რომ ეს ზმნები თემის ნიშნის გარეშე უნდა ვიხმაროთ (ხმოვანმონაცვლეებთან).

მაგალითად: *გლეჯს* (და არა – *გლიჯავს*), *ზელს* (და არა – *ზილავს*), *ყვლეფს, შრეტს, კრეფს, ხლეჩს, ჭყლეტს, ჩეხს, ხეთქს, იხვეჭს* და სხვ.

ის აზრიც არის გამოთქმული, რომ **ავ** და **ამ**-თემისნიშნიან ზმნებს მესამე სერიაში ეს ნიშნები უნდა გადაჰყვეთ, მაგალითად: *ვხატავ – დამიხატავს, ვხნავ – დამიხნავს, ვარტყამ – დამირტყამს, ვაბამ – დამიბამს* და ეს გამოთქმები სწორია, მაგრამ ზემოთ დასახელებული უთემისნიშნო ზმნებს III სერიაში, კითხვაზე – რა მიქნია? – თემის ნიშანი არ უნდა გადაჰყვეთ: რა მიქნია? – *გამიტეხია* (და არა *გამიტეხავს*), *ჩხრეკს – გაუჩხრეკია* (და არა *გაუჩხრეკავს*), *ტეხს – გაუტეხია* (და არა *გაუტეხავს*), *ჩეჩს – გაუჩეჩია* (და არა *გაუჩეჩავს*). თუ ვიხმართ არასწორ ფორმებს: *გაუჩხრეკავს, გაუტეხავს, გაუჩეჩავს*, მაშინ სამპირიან ზმნას მივიღებთ მყოფადი მწკრივის მყოფად დროში მესამე პირში, ასეთი სახით: რას უზამს? – *გაუტეხავს* (ის მას თავს); *გაუჩეჩავს* (ის მას მარტყლს); *გაუჩხრეკავს* (ქათამი წიწილებს მიწას), რაც სრულიად გაუმართლებელია ქართული ენისათვის.

პირველი და მეორე პირის მეშველი (დამხმარე) ზმნების – *ვარ, ხარ* – გამოყენების შესახებ

ამ მეშველ ზმნებს ხშირად იყენებენ იქ, სადაც საჭირო არ არის. გვაქვს ზმნები: *ვმღერი, ვიცინი, ვტირი, ვყვირი, გავრბი* და მისთ. ამ ზმნებს ურთავენ *ვარ* და *ხარ* მეშველ ზმნებს და ვიღებთ: *ვმღერივარ, ვიცინივარ, ვტირივარ, ვყვირივარ, გავრბივარ (მივრბივარ, ვრბივარ)*. ასეთი გამოთქმა ყველა მცდარია, რადგან *ვტირი, ვყვირი, ვმღერი, გავრბი* ზმნებს თავისთავად აქვთ პირის ნიშნები; პირველ პირში სუბიექტური ნიშანი მხ. რიცხვში – **ვ** და მრ. რიცხვში **ვ–თ**; მეორე პირს სუბიექტური პირის ნიშნებად ჰქონდა **ხ, ჰ, ს,** მხოლობით რიცხვებში, მაგალითად, **ხ**-არ, **ჰ**-გალობ, **ს**-წერ (საერთოდ), მრავლობითში – **ხ, ჰ, ს–თ** (ბოლოსართი **თ**), მაგრამ მეორე პირმა ეს ნიშნები (თავსართები **ხ, ჰ, ს**) დაკარგა, რადგან პირველი და მესამე პირისაგან უნიშნოდაც განსხვავდება: მაგალითად: *ვ-ხატავ* (მე), *ხატავ* (შენ), *ხატავ-ს* (ის), პირველ პირს **ვ** თავსართი აქვს ნიშნად, მესამეს – **ს** ბოლოსართი და მეორე პირი უნიშნობით გამოირჩევა, ამიტომ შეიძლება ვთქვათ, მეორე პირის ნიშანი უნიშნობაა.

შეიძლება ვინმემ გამოთქვას აზრი, რომ *გავრბი* არასწორი ფორმაა და *გავრბივარ* უმჯობესიაო, მაგრამ ჩვენ ამ აზრს ვერ გავიზიარებთ, რადგან ზმნებს აქვს სერიები და მწკრივები, ყველა ზმნა (მოქმედებითი, ვნებითი, საშუალო) თავისებურად იუღლება: აბა ვნახოთ, როგორ ვაუღლოთ **ვარ, ხარ** მეშველზმნებიანი ფორმები, აწმყო მწკრივის მაგალითზე, აწმყოში: რას ვშვრები? – *ვმღერივარ*; რას შვრები? – *მღერიხარ*; რას ვშვრები? – *გავრბივარ;* რას შვრები? – *გარბიხარ*. მაშინ უწყვეტელ მწკრივში – რას ვშვრებოდი? რას შვრებოდი? კითხვაზე უნდა გვქონდეს: *ვმღერივარ-ოდ-ი, მღერიხარ-ოდ-ი, ვიცინი-ვიცინოდი, ვტირი-ვტიროდი, გავრბი-გავრბ-ოდი; მღერი-მღეროდი; იცინი-იცინოდი; ტირი-ტიროდი; გარბი-გარბოდი*. აი, ესენია სწორი ფორმები და მეტყველებაშიც ასე უნდა გამოვიყენოთ.

მიხეილ რეხვიაშვილი

ინფორმაცია

„სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობა“

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ „სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსი „მოსწავლეთა სათემო ინიციატივები“, №71 საჯარო სკოლის (დირექტორი – **რამაზ სუპატაშვილი**) მოხალისეებისა და პარტნიორი №200 სკოლა-პანსიონის (დირექტორი – **მარინე უჯმაჯურიძე**) ბავშვების ინიციატივით, №71 საჯარო სკოლაში ჩატარდა.

ერთ გუნდად შეკრულმა მოსწავლეებმა და ოჯახებმა წარმოადგინეს როგორც ქართული, ისე თანამედროვე მუსიკალურ-შემეცნებითი და გასართობი პროგრამა. შესრულებისას გამოიყენეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გადმორიცხული თანხით შეძენილი მუსიკალური ინსტრუმენტები: ტამტამები, ფანდურები, ჩონგურები, სალამურები და გიტარა.

სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ინანაშვილების, ჭყოიძეების, ნიკოლაიშვილების, ხიხალიშვილების, ჯიმშიაშვილების, გაბედავების, თედორაძეების ოჯახები და ფოლკლორული ჯგუფი „271“, რომელიც №71 საჯარო სკოლისა და №200 სკოლა-პანსიონის ბავშვებისაგან შეიქმნა.

ჟიურის ხელმძღვანელობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობის“ პროგრამის კოორდინატორი **ლელა ცქეტიშვილი**, წევრები: **გოგიტა ვარდოსანიძე** – პროგრამის კოორდინატორის ასისტენტი, **ირაკლი ნადირაძე** – №200 სკოლა-პანსიონის კოორდინატორი, **ვიქტორ ქსოვრელი** – X კლასის მოსწავლე და **სალომე მჭედლიძე** – XI კლასის მოსწავლე. წინასწარ შედგენილი შეფასების კრიტერიუმების (პოზიტიური განწყობა სკოლისადმი, ჯგუფურობა და ნომრის შესრულების ხარისხი) გათვალისწინებით, ჟიურომ დაასახელა გამარჯვებულები:

პირველი ადგილი მოიპოვა თედორაძეების ოჯახმა, მეორე ადგილი – ნიკოლაიშვილების ოჯახმა და მესამე ადგილი – ინანაშვილების ოჯახმა. მოსწავლეები დასაჩუქრდნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გადმორიცხული თანხით შეძენილი პრიზებით.

მიხარია, რომ ჩართული ვარ ამ პროგრამაში, რადგან სწორედ პროგრამის მეშვეობით ჩამოყალიბდა ურთიერთსიყვარულისა და თანადგომის ატმოსფერო ჩვენს სკოლასა და №200 სკოლა-პანსიონის მოსწავლეთა შორის. ბავშვები ერთად ვფიქრობთ იმაზე, თუ როგორ შევცვალოთ ჩვენი ურთიერთობები უკეთესობისკენ.

სესილი ბარბაძაძე
თბილისის №71 საჯარო კოლის მოსწავლე, მოხალისე-კოორდინატორი

საუბრები ბიბლიაზე

ადამი და ღვთის მაძიებელი ადამიანი

რუბრიკას უძღვება
როლანდ ჩხეიძე

დასასრული

სული

წმინდა იოანე დამასკელი გვასწავლის: „სული არის არსება ცოცხალი, მარტივი, უსხეულო, თავისი ბუნებით სხეულებრივ თვალთაგან უხილავი, უკვდავი, მოაზროვნე და გონისმიერი, უაღნაგობო, ორგანული სხეულით მოსარგებლე და მისთვის სიცოცხლის, ზრდის, გრძნობისა და შობადობის მიმნიჭებელი, გონების მქონე, თუმცა არათუ თავისი თავისგან განსხვავებულისა, არამედ – თავისივე უწმინდესი ნაწილისა რადგან როგორც თვალია სხეულში, იმგვარადვეა სულში გონებაც თვითუფლებრივი, მნებებელი და მოქმედი, ცვალებადი ანუ ნებსითცვალებადი, როგორც, აგრეთვე, ქმნილი, რომელსაც მისი შემოქმედის მადლისგან ბუნებით აქვს შეთვისებული ყოველივე ეს, რადგან მადლისგანვე მიუღია მას არსებობაც და ბუნებით ამგვარად არსებობაც“ („მართლმადიდებელი სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა“, თავი ოცდამეექვსე. www.orthodoxy.ge).

ადამიანის იპოსტასი რთული ფენომენია, მასში რამდენიმე სუბსტანციაა გაერთიანებული. ღვთისმეტყველთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ადამიანის არსი შედგება: სულისა და სხეულისაგან, მათთვის სამშვინველსა და სულს შორის მკვეთრი ზღვარი არ იკვეთება. მეორენი იშველიებენ მოციქული პავლეს სიტყვებს: „სული თქუენი, სამშჳნელი და გუამი უბიწოდ მოსლვასა მას უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა დაჰმარხენინ“ (1 თეს. 5:23) და მიიჩნევენ, რომ სული ფუნქციურად განსხვავდება სამშვინველისაგან, ამდენად მათი თვალსაზრისით ადამიანი შედგება სამშვინველისაგან, სულისაგან და სხეულისაგან.

წმიდა იუსტინე ფილოსოფოსი თავისი წერილის „აღდგომის შესახებ“, მე-10 თავში წერს: „სხეული არის სახლი სამშვინველისა, ხოლო სამშვინველი – სულისა და ეს სამეული იმათში მკვიდრობს, ვისი ცხოვრებაც უფლის იმედზე და რწმენაზეა აგებული“.

„სულის, სამშვინველისა და სხეულის ურთიერთდამოკიდებულება მამათა შემოქმედებაში ასე ყალიბდება: სული უფალით უნდა საზრდოობდეს; სამშვინველი – სულით, ხოლო სხეული – სამშვინველით. ამგვარი იყო კაცის საწყისი ბუნება. მას შემდეგ რაც ადამიანმა ღმერთი უარყო, იმის მაგივრად, რომ სამშვინველი სულით იკვებებოდეს, ის ცდილობს თვითონ ასაზრდოვოს სული და ამ საზრდოს ჩვენ სულიერ ფასეულებებს ვუწოდებთ; სამშვინველი თავისი ნებით სხეულის დახმარებით იკვებება, ეს კი ვნებებით კვებაა. ვნებების ტყვეობაში მოქცეული სხეული, სამშვინველი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებას უსულო მატერიაში ეძებს. ამ ძიებაში სხეული თვითლიკვიდაციისაკენ მიექანება. ამგვარად, ადამიანური ბუნება საბოლოოდ ნადგურდება“ (В. Лосский. «Очерки мистического богословия Восточной Церкви», М.: 1991. С. 98).

როგორც აღინიშნა, სამშვინველსა და სულს შორის წმინდა მამები ფუნქციურ სხვაობას ხედავენ. ამავე დროს, სულში ისინი ან უფლის მიერ შთაბერილ სულს, ან უფლის მადლით განწმენდილი სამშვინველის ნაწილს, სამშვინველის განსხვავებულ მდგომარეობას გულისხმობენ. როგორც კლიმენტი ალექსანდრიელი აღნიშნავს: „სამშვინველი და სული – ერთი და იგივე არსის სხვადასხვა მდგომარეობის დასახელებაა“. სხვაგვარად, სული უფლის მადლით გაკეთილშობილებული სამშვინველია.

მოციქული პავლე, მშვინვიელი (ინტელექტუალური და გონებრივი) ძალების ქმედებას სხეულებრივთან კავშირში აღიქვამს, ამ თვალსაზრისით სულიერსა და მშვინველს ერთმანეთს უპირისპირებს: „ხოლო მშჳნვიერი კაცი არა შეიწყნარებს სულისა ღმრთისაჲსა, რამეთუ სიცოფე უჩნნ მას, და ვერ შემძლებელ არს ცნობად, რამეთუ სულიერად განიკითხვინ“ (1 კორინ. 2:14). მაგრამ, აქვე ნათლად ვლინდება, რომ წმინდა პავლე ამ განსხვავებაში ზნეობრივ და არა ონთოლოგიურ სხვაობას გულისხმობს: „რამეთუ ცხოველ არს სიტყუაჲ ღმრითსაჲ და ძლიერ და უმკუეთელეს უფროჲს ყოვლისა მახჳლისა ორპირისა: და მისწუდების იგი ვიდრე განსაყოფელადმდე სამშჳნველისა და სულისა, ნაწევართა და ტჳნთა, და განმკითხველ გონებათა და ზრახვათა გულისათა“ (ებრ. 4:12). ამ სიტყვებიდან ირკვევა, რომ ადამიანს ძალუძს მისი გულიდან წამოსული ნება, ერთ შემთხვევაში, სულიერებას, ანუ უფალს დაუმორჩილოს, ხოლო მეორე შემთხვევაში – მშვინვალებას, ანუ ნივთიერ ბუნებაზე გავლენის მქონე ძალებს დაუკავშიროს. ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ თვითონ სამშვინველი ნივთიერ სუბსტანციას არ წარმოადგენს.

ღირსი მაქსიმე აღმსარებელი სამშვინველის სულიერების შესახებ გვასწავლის: „თუკი გამრავლება და ხრწნა სხეულისათვის ბუნებრივია, სამშვინველს სხეულად ვერ ჩავთვლით, რადგან ყოველივე აღნიშნული მისთვის დამახასიათებელი არ არის. როგორც გულის საზრიანობის ხატს, სამშვინველს ჩვენ გონიერს ვუწოდებთ; ხოლო როგორც უკვდავსა და უხილავს, მას უხრწნელად, არანივთიერად და ყოველგვარი საგნობრიობისაგან განყენებულად მივიჩნევთ“ (ციტატა ოლეგ დავიდენკოვის მიხედვით. გვ. 220).

უკვდავება

ადამიანის სული და მასთან ერთად სამშვინველიც უკვდავია. სულის უკვდავებას მრავალი სხვადასხვა რელიგიური და ფილოსოფიური სისტემის მიმდევარი აღიარებს, მაგრამ მხოლოდ მართლმადიდებლური მოძღვრება მიიჩნევს, რომ სხეულის სიკვდილის შემდეგ, სულის უკვდავება ადამიანის არსისათვის ბუნებრივი მდგომარეობაა. მართლმადიდებლური აზროვნებისათვის ნამდვილი და ტრაგიკული სიკვდილი სულის სიკვდილია, უფლის უარყოფა და მისგან განდგომა.

ღვთისმორწმუნე კაცისათვის იესო ქრისტესთან პირადი, ევქარისტული (ზიარებითი) ურთიერთობა, ღმერთის თანადგომის უტყუარი ნიშანია: „მე ვარ პური ცხორებისაჲ; რომელი მოვიდეს ჩემდა, არა შიოდის, და რომელსა ჰრწმენეს ჩემი, არასადა სწყურდის“ (იოან. 6:35), ბრძანებს უფალი.

სიკვდილით მხოლოდ ადამიანის ხრწნადი სხეული კვდება. სიკვდილი ცოდვით გამოწვეული მოვლენაა, ის საკუთარი მოჩვენებითი გამარჯვების მიღწევის მიზნით, ინდივიდის ბიოლოგიური ავტონომიის არსებობას ეწინააღმდეგება. ამ ბრძოლის შედეგად, მას მხოლოდ ადამის ცოდვით გამოწვეული ყალბი იპოსტასის განადგურება შეუძლია. ანადგურებს რა სიკვდილი სხეულს, სხეულთან ერთად მასში დაბუდებული ცოდვისა და ბოროტების მასაზრდოვებელი ძალაც ნადგურდება. თუ ადამიანი მოუნანიებელი ცოდვით არ არის დამძიმებული, თავისუფლდება ჭეშმარიტი სიცოცხლე. შესაძლებელი ხდება ადამიანში შთაბერილი ღვთიური სულის შეუზღუდავი მოქმედება.

იესო ქრისტე ბრძანებს: „მე ვარ მწყემსი კეთილი და ვიცნი ჩემნი იგი, და მიციან ჩემთა მათ“ (იოან. 10:14). მას შემდეგ, რაც ადამიანის სული, ადამის დაცემის გამო შეძენილ, დამძიმებულ სხეულს ტოვებს და შესაბამისად უხეში მიწიერი მოთხოვნილებებისაგან თავისუფლდება, უფლის ნებით, ანგელოზი მას ზეციური სამკვიდრებელისკენ მიუძღვება.

როგორც იოანე დამასკელი გვასწავლის, სული თავისი სრულყოფილების გამო, უბრალო და მარტივი არსებაა, ხოლო ის რაც მარტივი და შეუზავებელია, არ შეიძლება შემადგენელ ნაწილებად დაიშალოს. ამიტომ, სიკვდილი არა მხოლოდ სულს ზოგადად, არამედ ღვთის მიერ არყოფნიდან ყოფნაში გამოხმობილ პიროვნულ სულსაც ვერ ანადგურებს. ამდენად, ყველა ცალკეული იპოსტასი: რომელიც ცხოვრობდა, ცხოვრობს და იცხოვრებს, თავისი არსით, განუმეორებელია, მარადიული და უკვდავია.

„სახლსა მამისა ჩემისასა სავანე მრავალ არიან“ (იოან. 14:2), გვანუგეშებს უფალი. ღვთის სამკვიდრებელში უკვდავებას ნაზიარები ყველა ცალკეული იპოსტასი (პიროვნება), მაცხოვრის მეორედ მოსვლის მოლოდინში თავისი სულიერების შესაფერისი ცხოვრებით ცხოვრობს.

აღდგომა

„მე ვარ აღდგომაჲ და ცხორებაჲ. რომელსა ჰრწმენეს ჩემი, მო-ღათუ-კუდეს, ცხონდესვე“ (იოან. 11:25), ბრძანებს იესო ქრისტე.

ესაიას წიგნში, არის წინასწარმეტყველება გამომხსნელის შესახებ: „ესე გუემულებათა ჩუენთა იტჳრთავს და ჩუენ ძლით ღმობილ არს, და ჩუენ შეჰვრაცხეთ იგი ყოფად ტკივილსა შინა და წყლულებასა შინა ღმრთისა მიერ და განბოროტებასა შინა. ხოლო იგი იწყლა ცოდვათა ჩუენთათჳს და გუემულ არს უსჯულოებათა ჩვენთათჳს, წურთა მშჳდობისა ჩუენისა მის ზედა, წყლულებითა მისითა ჩუენ განვიკურნენით“ (ეს. 53:45).

„ვლადიმერ ლოსკის სიტყვებით რომ ვთქვათ: „იმისათვის, რათა სიკვდილი დამარცხებულიყო, მას საშუალება უნდა მისცემოდა, თავისი ადგილი თვით ქრისტეშიც ეძებნა. სიკვდილი უფალში ვერ დამკვიდრდა, რადგან ჭეშმარიტებაში და უკვდავებაში მან საკუთარი თავი ვერ იპოვა“. ამრიგად, თუ მაცხოვრის განკაცება ცოდვაზე გამარჯვება და ადამიანის ღმერთთან ურთიერთობის საფუძველია, იესო ქრისტეს ჯვარცმა ცოდვით დაცემის შედეგად გაჩენილი წყევისაგან გამოხსნა და კაცობრიობის გამოსყიდვაა. ქრისტემან ჩუენ მოგჳყიდნა წყევისა მისგან შჯულისა და იქმნა ჩუენთჳს წყევასა ქუეშე. რამეთუ წერილ არს: წყეულ იყავნ

„და ვითარცა-იგი ადამის გამო ყოველნი მოსწყდებიან, ეგრეთცა ქრისტეს მიერ ყოველნი ცხოველ იქმნენ.“ (1 კორ. 15:22)

ყოველი, რომელი დამოეკიდოს ძელსა“ (გალ. 3:13) (წიგნიდან: Олег Давыденков, Догматическое богословие, М.: ПСТГУ, 2006. С. 211).

ძელის ანუ ჯვრის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ, წმინდა იოანე დამასკელი გვასწავლის: „პატიოსანი ჯვარი წინაგამოსახა ცხოვრების ხემ, ღვთის მიერ დანერგილმა სამოთხეში (ეს იმიტომ, რომ რადგან ხისგან იყო სიკვდილი, ხის მიერვე უნდა მონიჭებულიყო სიცოცხლე და აღდგომა)“ („მართლმადიდებელი სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა“, თავი ოთხმოცდამეოთხე. www.orthodoxy.ge).

ძველ აღთქმაში ითვლებოდა, რომ პირველი მოსავლის შეწირვისა და კურთხევის მადლი მთელი წლის მოსავალზე ვრცელდება: „ხოლო უკუეთუ დასაბამი იგი წმიდა არს, და თბეცა; და უკუეთუ ძირი იგი წმიდა არს, და რტონიცა მისნი“ (რომ. 11:16). მოციქული იყენებს ამ მაგალითს და მაცხოვრის შესახებ ბრძანებს: „ხოლო აწ ქრისტე აღდგა მკუდრეთით და იქმნა იგი დასაბამ შესუენებულთა“ (1 კორ. 15:20), როგორც წმინდა პავლე გვასწავლის: იესო ქრისტე არის დასაბამი ჩვენი აღდგომისა „და ვითარცა-იგი ადამის გამო ყოველნი მოსწყდებიან, ეგრეთცა ქრისტეს მიერ ყოველნი ცხოველ იქმნენ. ხოლო თჳთოეული თჳსითა წესითა: პირველად ქრისტე და მერმე ქრისტესნი იგი მოსვლასა მას მისსა“ (1 კორ. 15:22-23).

მაცხოვრის აღდგომა საყოველთაოდ შეუდარებელი მოვლენაა. რელიგიის ისტორიაში, ბიბლიაში და კერძოდ ახალ აღთქმაში ადამიანთა სიკვდილიდან გამოხსნის არაერთი შემთხვევაა აღწერილი. მაგალითად: იესო ქრისტეს მიერ იაიროს ქალიშვილი (მკ. 5:22-43) და ლაზარე: (ინ. 11:1-44); მოციქული პავლეს მიერ – ევტჳქოს (საქმ. 20:9-12); მოციქული პეტრეს მიერ – ტაბითა (საქმ. 9:36:42). მაგრამ ყოველი ამ მიცვალებულის გაცოცხლება აღდგომისაგან პრინციპულად განსხვავდება. სიკვდილისაგან გამოხსნილი ადამიანის სხეული კვლავაც მოკვდავია, როგორც დიდი შოთა ბრძანებს: „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი, მისგან ყოველი გასწორდეს, სუსტი და ძალ-გულოვანი“. აღდგომა დროებით სიკვდილის შეყოვნება არ არის, ადამის ცოდვით დამძიმებული არ შეიძლება სიკვდილს გადაურჩეს.

მორწმუნის უკვდავების წინაპირობა მაცხოვარში ადამიანისა და უფლის გაერთიანებაა. ეს არის საიდუმლო ადამიანის უხრწნელობასთან, უკვდავებასთან და ღვთიურ ცხოვრებასთან ზიარებისა. ამ საიდუმლოს მთავარი მამოძრავებელი ძალა იესო ქრისტეს აღდგომის უეჭველობაა. მოციქული პავლე ბრძანებს: „უკუეთუ ქრისტე არა აღდგომილ არს, ცუდად სამე არს ქადაგებაჲ ესე ჩუენი და ცუდად არს სარწმუნოებაჲ ეგე თქუენი“. „...და უკუეთუ ქრისტე არა აღდგომილ არს, ამაო არს სარწმუნოებაჲ ეგე თქუენი; ცოდვათავე სამეცა შინა თქუენთა ხართ აქამომდე“ (1 კორ. 15:14, 16, 17).

როგორც წმიდა ეფრემ ასური ბრძანებს: „ყველა, ვინც შთაინთქა ზღვაში, შესანსლა მხეცმა, კორტნა ფრინველმა, დაიწვა ცეცხლში – უმოკლეს დროში გამოიღვიძებს, აღდგება და ვით თანასწორად ღვთისგან შექმნილი ადამის შვილი, სიკვდილიდან აღდგება და სხვებთან ერთად წარმოჩინდება... აღდგომაში არ იპოვება არც დიდი და არც მცირე არსი. ადრე შობილი და ვერ შობილი ისე აღდგება როგორც ზრდასრული. ყველას განმსჯელად თვისი საქმე მოევლინება. საქმეთა მსგავსათ: ერთნი ბნელში შთაინთქმებიან, მეორენი კი ღვთის ნათელში გაბრწყინდებიან“ (Творения иже во святых отца нашего Ефрема Сирина. Ч. 4. Изд. 4-е. ТСЛ, 1900. с.105).

სწორედ ჯვარცმის შემდეგ გახდა ნათელი, რომ სიკვდილი დაცემული ბუნების ცოდვისაგან გამოხსნაა. სიკვდილი ის ჩიხი აღარაა, რომელიც ყოველ ცოცხალ არსებას შიშსა ჰგვრიდა. მაცხოვრის ჯვარცმამ ნათელი გახადა, რომ სიკვდილი აღდგომით მარცხდება და მორწმუნეთათვის ცათა სასუფეველში ღია კარად გადაიქცევა.

„ამ ბრწყინვალე დღეს მკვდრეთით აღდგა იესო ქრისტე. ამ დღეს დაეხშო საკეტები ჯოჯოხეთისა და გაქარწყლდა საწრეტელი ბოროტებისა. აღდგომის დღეს უბრუნდება სილაღე სულებს. ამ დღეს ცხადდება უფალი ჩვენი და მას იხილავს ყოველი კაცი – ვისთვისაც იშვა, ივნო და აღსდგა, რათა მხილველი – სიკვდილისგან განრიდებული მასთან მიიქცეს, უკვე ზეცად ამაღლებულთან. ამ დღეს ბრწყინვალეს ზეიმობს, ხარობს ზეციურად მცხოვრებთა დასი, ციდან მოისმის ანგელოზთა სიმღერის ხმები და ქვეყანაზე ცათ აღმავალი გალობა ტკბილი“ (Творения иже во святых отца нашего Григория Богослова, Ч. 4. М., 1844. с.358).

„ქრისტე აღსდგა მკუდრეთით, სიკუდილითა სიკუდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი.“

საგანმანათლებლო კერები

სვანეთი

ჩათო გუჯეჯიანი
სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ქრისტიანული კულტურის ფონდის კურატორი

საქართველოში და შესაბამისად სვანეთშიც, კულტურულ-საგანმანათლებლო კერების შექმნა და გაშლა, ძირითადად, ქრისტიანობას უკავშირდება: სვანეთში შემონახულია მრავალი სალოცავი, უამრავი ხატ-ჯვარი IX-XVII საუკუნეებით დათარიღებული, მონუმენტური მხატვრობის ძეგლები, თემატურად მდიდარი სასულიერო ლიტერატურა (სამწუხაროდ, მათი დიდი ნაწილი – ფრაგმენტების სახით) და წირვა-ლოცვისთვის განკუთვნილი ნივთები, მათ შორის ბრინჯაოს სირიული საცეცხლურები V-VI საუკუნეებისა. ეს ძეგლები ნათელი არგუმენტებია აქ, IX-XVII საუკუნეებში მაინც, თუ უფრო ადრიდან არა, ღვთისმსახურების გაცხოველებული წარმოებისა, რაც თავისთავად არის უდიდესი სკოლა – მოძღვარი და მასწავლებელი ღვთის რწმენისა, ანუ მაღალი ზნეობისა.

ფაქტია, როგორც ლიტურგია მოითხოვს ძველი და ახალი აღთქმის და წმინდანთა ცხოვრების ცოდნას, ასევე მოითხოვს ამას ხატწერის ხელოვნება. სხვანაირად შეუძლებელია ქრისტოლოგიური ციკლის გამოსახვა, ამა თუ იმ წმინდანისა და რელიგიური სიუჟეტის გამოსახვისას იკონოგრაფიული ნორმების დაცვა და ათასი სხვა ნიუანსური მომენტი. დამატებით კიდევ ხელოვანი ფერწერასა და ჭედურობაში მასალის შექმნისა და გამოყენების ტექნიკას უნდა ჩაწვდომოდა. ყოველივე ეს სწავლით და სწავლებით მიიღწევა. სწორედ სწავლების მიზნით უნდა იყოს ანბანი ამოკვეთილი იელის (აცის) მთავარანგელოზის შიგნითა კედელზე, მოწაფეთათვის მოხერხებულ სიმაღლეზე – კედლის ქუსლიდან 116 სმ-ზე. ეს მხედრული ანბანია, ანბანის რიგის დაცვით შესრულებული 36 ასო. დათარიღებულია XIII საუკუნით (ვ. სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, ეპიგრაფიკული ძეგლები, 1988 წ.). უშგულის ღვთისმშობლის ეკლესიის კედელზე კი XIV საუკუნით დათარიღებული ნუსხური ანბანია მოთავსებული. სხვა ეკლესიებშიც გვხვდება ნუსხური ანბანის ნაკლული რიგი (ვ. სილოგავა, დასახელებული ნაშრომი).

ყოველივე ამასთან ერთად უნდა ვივარაუდოთ, რომ მოქმედ ეკლესიებს ჰყავდათ მგალობლებიც, ე.ი. მიმდინარეობდა საგალობლების სწავლება. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა XVII-XVIII სს. დათარიღებული ერთ-ერთი ნაკაწრი წარწერა: *„ღმერთო შეიწყალე გიორგი მგალობელი“*. ეს წარწერა შესრულებულია მუსიკალური ნიჭით გამორჩეული სოფლის – ლატალის მთავარანგელოზის ეკლესიის შიგნით კედელზე (ვ. სილოგავა, დასახელებული ნაშრომი).

XIII-XIX საუკუნეებში, ცნობილი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის გამო, მთელ საქართველოში იზღუდება ყოველგვარი კულტურული საქმიანობა. სვანეთში დაცული წერილობითი ძეგლების ანალიზის მიხედვით, აქ მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმდება XVII საუკუნიდან. გაჭირდა ბართან კავშირი, სიღატაკემ და განუკითხაობამ დაისადგურა, შემცირდა და ბოლოს და ბოლოს თითქმის შეწყდა სამღვდელოებაში პროფესიონალური ცვლის მომზადება. თუმცა, საბედნიეროდ, ამით რწმენა არ შემცირებულა, სალოცავებისადმი კრძალვა და ლოცვის იმედი არ დაკარგულა. დროდადრო სოფლიდან ცოტა მოშორებით ვინმე ბერიც კი დაისადგურებდა ხოლმე. ამ მხრივ, ერთი ასეთი მნიშვნელოვანი ფაქტი: XIX საუკუნის მეორე ნახევარში სოფელ წვირმიში ფეხის მონასტერში („ფეხი“ ტოპონიმია), მოღვაწეობდა ბერი თეოფანე კორძაია, ამავე სოფლის მკვიდრი. მამა თეოფანე სწავლის მსურველ ბავშვებსაც იღებდა სახლში. საცხოვრებელი პირობების მიხედვით შეეძლო და ჰყავდა კიდეც ორი ან სამი მოწაფე სამი წლით. ასწავლიდა ნუსხური და მხედრული ანბანით წერა-კითხვას, ლოცვებს, ფსალმუნებს, ბიბლიას. ამის შემდეგ ამ მოწაფეებს შეეძლოთ სწავლის გაგრძელება უფრო მაღალ სასწავლებლებში. ბევრს აქ ნასწავლი წერა-კითხვა გამოადგა, როგორც ამოქმედებულ ეკლესიებში, ისე ზოგადად ცხოვრებაში. ამ ფუტკარივით მშრომელმა ადამიანმა დიდი ამაგი დასდო თავის კუთხეს. მან დაწყებითი განათლება მიაღებინა გაბრიელ ნიჟარაძეს, რომლის შესახებაც ქვემოთ მოგახსენებთ.

XIX საუკუნეში განათლების ქსელის გაშლა კავკასიის გარუსებისათვის ბრძოლას უკავშირდება. ამ მიზნის განხორციელებაში რუსული სკოლების დაარსებას და „ქრისტიანობის აღდგენას“ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. რუსეთისათვის ამ საქმეში განსაკუთრებით იმედის მომცემი პერიფერიები იყო. სვანეთში ეს მართვის სტრუქტურით დაიწყო: 1868 წელს სამაზრო ცენტრი სოფელ ბეჩოში დააფუძნა. იმთავითვე გახსნა ერთწლიანი სასწავლებელი რუსული ენისა სამაზრო სამსახურის გასაადვილებლად. ასწავლიდნენ მაზრის სამსახურში ჩაბმულ მამაკაცებს რუსულად წერა-კითხვას და სამსახურისათვის საჭირო ლექსიკის მარაგს. ეს სასწავლებელი დროდადრო წყვეტდა მუშაობას და მერე ისევ განაახლებდა. ცნობის მიხედვით, 1920 წლამდე იარსება, ვიდრე სამაზრო ცენტრი (შტაბი) ბეჩოდან მულახში არ გადაიტანეს. ეს იყო პირველი ოფიციალური სასწავლებელი – მასწავლებელი ხელფასს იღებდა ისე, როგორც შტაბის დანარჩენი მუშაკები. ბუნებრივია, ბევრმა ისწავლა ელემენტარული რუსული.

გარუსების საქმეში განსაკუთრებული როლის შესრულება ჰქონდა დაკისრებული „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელ ორგანიზაციას“. თავისი დროის თვალსაჩინო პიროვნების, ყველა მაშინდელი პრობლემის და მათ შორის სვანეთში ქართულ ენაზე წერა-კითხვის სწავლებისათვის თავდადებული მებრძოლის ე. გაბლიანის ცნობით, ამ ორგანიზაციამ სვანეთში მოქმედება დაიწყო 1863 წელს. სვანეთის მუზეუმში დაცული, ფრაგმენტებად შემორჩენილი, წერილობითი ძეგლების მიხედვით, მის მიერ მოვლენილი მღვდლების კვალი 1865 წლიდან ჩანს. კერძოდ, 1865-70 წლებში ლენჯერში მღვდელია ალექსი იოსების ძე ბაქრაძე. მესტიაში სეტის წმ. გიორგის ტაძარში კი 1868-70 წლებში – ილარიონ ეგნატეს ძე გერსამია. მათ აღმსარებელთა სიები ქართულ ენაზე აქვთ შედგენილი. ქართულ ენაზეა შედგენილი მომდევნო წლების დოკუმენტებიც. რუსულ ენაზე შედგენილთაგან შემონახულია, ისევ ლენჯერიდან, 1914 და 1916 წლების აღმსარებელთა სიები. მღვდელია ივანე პირველი (იფარიდან), მედავითნე სამსონ ფანგანი (წვირმიდან), ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუსეთმა შემდეგ უფრო მკაცრად მოითხოვა საკუთარი პროგრამისადმი ერთგულება.

აღნიშნული ორგანიზაციის მისიის აღსრულებაზე ხელმძღვანელობა ილარიონ გერსამიას დაეკისრა. გერსამიასა და აქ მოვლენილი მღვდლების შესახებ უნდა ითქვას, რომ ისინი რუსული ვალდებულების შესრულებასთან ერთად, ქართულ საქმესაც აკეთებდნენ – ასწავლიდნენ რუსულ და ქართულ წერა-კითხვას და ღვთისმსახურებას ქართულ ენაზე ასრულებდნენ. სინამდვილეში კი, წირვა-ლოცვა რუსულ ენაზე უნდა შეესრულებინათ. იმ ხანების ვითარება აღწერილი აქვს იმერეთის ეპისკოპოსს, გრიგოლს, რომელმაც სვანეთში იმოგზაურა 1887 წელს. ის წერს, რომ მოინახულა მესტიაში სამრევლო სკოლა, მამა ილარიონ გერსამიას მიერ დაარსებული 1868 წელს. მღვდელი ქურციკიძე სახლში იღებსო მოსწავლეებს, ისინი ოცდაათნი არიანო, თავისუფლად წერენ და კითხულობენ ქართულად და რუსულად, იციან მთავარი ლოცვები და არითმეტიკის პირველი კანონებიო. ბ. ნიჟარაძის ცნობით კი, მესტიაში, 1871 წელს, დაარსდა სამრევლო სკოლა და პედაგოგი იყო სვანური ენის მცოდნე ი. კერესელიძე (ბ. ნიჟარაძის, ლ. დაუანის და ივანე მარგიანის მიერ მოცემული ცნობები აღებულია წიგნიდან „ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე“, 1973 წ. შემდგენლები – გ. ავალიანი და გ. ზურაბიანი). ეს იმას ნიშნავს, რომ 1868 წელს გახსნილი სკოლა უკვე არ არსებობს და ხელმეორედ ხსნიან. ეპისკოპოსის წერილებიდან ისიც ჩანს, სასკოლო პირობების არქონისა და მოსახლეობის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო რომ სამრევლო სკოლებს უჭირდათ მუშაობა. სკოლები, თითქმის, ყველა სოფელში გაიხსნა, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ იხურებოდა. მიუხედავად ამისა, ისინი ნაყოფიერ კვალს ტოვებდნენ სვანეთის ცხოვრებაში. მათი მუშაობა ოქტომბრის რევოლუციამდე გაგრძელდა. მეფის მთავრობამ მოახერხა, რომ მღვდლებად და პედაგოგებად სვანები მოემზადებინა, რადგან ქართული ენის სრულად ამოძირკვაში ხელშემშლელად მოძღვართაგან სვანურის არცოდნა მიიჩნია. ბ. ნიჟარაძის ცნობით, 70-იან წლებში 3 სვანი სწავლობდა ქუთაისში სახელმწიფო ხარჯზე. საუკუნეთა მიჯნაზე უკვე რამდენიმე სვანი იყო მღვდელი და ჰქონდა სამრევლო სკოლაც, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება უფრო და უფრო ამკაცრებდა რეჟიმს, სვანი მღვდლებიც იმავე გზას მიჰყვნენ. ამის ერთი მაგალითი: მამა დარისპან მარგიანი, რომელმაც მულახში სოფელ მურშკელში დანგრეული ეკლესია აღადგინა. მულახის ე.წ. „სამინისტრო სკოლაში“ (ასე ეძახდნენ განათლების სამინისტროს მიერ დაარსებულ საერო სკოლებს) საღვთო სჯულს („Закон Божий“) ასწავლიდა, მის მიერ აღდგენილ ტაძარში ღვთისმსახურებას ქართულ ენაზე ასრულებდა და შინ კიდევ თავისივე სამწყოს ბავშვები ქართულ ენაზე წერა-კითხვის სასწავლებლად დაუდიოდა.

ე. გაბლიანი გვაწვდის ცნობას იმის შესახებ, რომ XIX საუკუნის დასასრულისკენ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ სვანეთში დააარსა 6 სკოლა. შემდეგში ისინი მთავრობის ხელში გადავიდაო (ე. გაბლიანი „სვანეთი“, 1925 წ.). ავტორმა ბოლშევიკური წნეხის ქვეშ ასე უბრალო რეალობის ფორმით გვამცნო ეს ფაქტი. ქვეტექსტში კი იგულისხმება, რომ რუსეთის მთავრობამ ეს სკოლებიც რუსულ სკოლებად აქცია.

სვანეთი საერო – ზოგადი განათლების მიმცემი სკოლების გახსნასაც ითხოვდა. მისი ეს მოთხოვნა ჯერ გაზეთმა „დროებამ“ დაბეჭდა 1881 წელს, შემდეგ 1884 წელს სვანეთში „უბრალო სასოფლო“ სკოლის არარსებობაზე ჩივის ლაზარე დადვანი ამავე გაზეთში (ლ. დადვანი 1873 წლიდან თანამშრომლობდა ქართული გაზეთების რედაქციებთან).

საერო სკოლების გახსნის მსურველი მთავრობაც იყო, ოღონდ საზოგადოებისაგან განსხვავებით – რუსული სკოლებისა. ამისთვის იგი საფუძვლიანად ემზადებოდა: შეადგინა სვანური, მეგრული და აფხაზური ანბანი რუსული შრიფტით, ამზადებდა ამ ენების მცოდნე კადრებს და შეადგინა სახელმძღვანელოებიც, მაგალითად, სვანეთისათვის რუსულ-სვანური. ჯერ კიდევ 1864 წელს სოფელ ფარში სკოლის შენობაც ააშენეს და სწავლაც დაიწყეს, მაგრამ ორ კვირაში შეწყდაო. ლ. დადვანი და ბ. ნიჟარაძე ამას იმით ხსნიან, რომ პედაგოგმა სვანური არ იცოდაო. ხალხის გადმოცემით კი ქართულს რომ არ ასწავლიდნენ, მშობლებმა ამიტომ ერთბაშად გამოიყვანესო ბავშვები სკოლიდან. ეს იყო სვანეთში სკოლის გახსნის პირველი ფაქტი, რომელმაც სრული მარცხი განიცადა. როგორც ჩანს, მერე და მერე ხელისუფლება ამ მარცხის მიზეზებს ითვალისწინებდა, სამრევლო სკოლებში მაინც.

დროთა განმავლობაში საზოგადოების მცირე ნაწილმა აუცილებელ საჭიროებად მიიჩნია საერო სკოლის დაარსება, განათლების მიღება თუნდაც რუსულ ენაზე. იმედი ჰქონდათ, რომ „ქართული სკოლის გარეშე გვისწავლია და აწიც ასე ვისწავლითო“ – თითქოს ასე ამბობდნენო მულახის მამასახლისი ბიმუ (კონსტანტინე) გუჯეჯიანი და მღვდელი გიორგი მარგიანი.

საერო სკოლის გახსნაზე განცხადება, რომელსაც ქუთაისის გუბერნიის გუბერნატორმა და განათლების სამინისტრომ ერთმანეთთან შეთანხმებით დადებითი რეზოლუცია დაადეს, იყო გიორგი იაკობის ძე გუჯეჯიანისა. გიორგის გორის სემინარია ჰქონდა დამთავრებული, მუჟალის მაცხოვრებელი იყო და სკოლის გახსნასაც მუჟალში ითხოვდა. საქმის გადაწყვეტამდე იგი ჭიათურაში მარგანეცის მწარმოებელ კომპანიას დაუკავშირდა და სკოლის საქმეს არ სდია. სამაგიეროდ, სვანეთში საერო სკოლის გახსნას ითხოვდა ყუბანის სამასწავლებლო სემინარიის კურსდამთავრებული გაბრიელ სვიმონის ძე ნიჟარაძე (ყუბანში მეფის ხელისუფლებას კავკასიის „გასანათლებლად“ მაღალი დონის სემინარია ჰქონდა). გაბრიელი უშგულის მაცხოვრებელი იყო და სკოლასაც უშგულში ითხოვდა. არც გ. გუჯეჯიანისაგან და არც გ. ნიჟარაძისაგან ეს არ იყო მხოლოდ საკუთარი სოფლის დაწინაურების სურვილი. იმ ხანში სვანეთში საკუთარი სახლისა და მეურნეობის გარეშე ცხოვრება ძალიან ძნელი იყო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

***

18 მარტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა **მირზა (პაპუნა) დავითაიამ** და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** ხელი მოაწერეს ბრძანებას, რომელიც 3 თვის განმავლობაში საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული საკვირაო სკოლებისთვის ერთიანი სასწავლო პროგრამის შემუშავებასა და წარდგენას ითვალისწინებს.

დიმიტრი შაშკინის განცხადებით, საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი ბავშვებისთვის შეიქმნება ერთიანი სასწავლო გეგმა, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოყვანილი საქართველოში მოქმედ სკოლებთან. ამასთან, სამინისტრო გამოყოფს თანხებს, რომ საზღვარგარეთ მცხოვრებ ბავშვებს ჰქონდეთ სასწავლო წიგნები, რათა საქართველოში ჩამოსვლის შემთხვევაში, ადვილად მოხდეს ქართულ საგაგანმანათლებლო სივრცეში მათი ინტეგრირება.

როგორც მინისტრებმა განაცხადეს, საზღვარგარეთ არსებული საკვირაო სკოლებისთვის ერთიანი სასწავლო პროგრამის შემუშავება აუცილებელია იმისათვის, რომ ჩვენმა თანამემამულეებმა უცხოეთში საკუთარი ენა და თვითმყოფადობა შეინარჩუნონ.

***

საქართველოს პირველმა ლედიმ **სანდრა რულოვსმა**, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ **ირინე ქურდაძემ** და საქართველოში აკრედიტებულმა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა თბილისის 72-ე საჯარო სკოლაში სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეთა მონაწილეობით შექმნილი გამოფენა დაათვალიერეს. „ჩვენ წარმოვადგენთ მრავალეროვან საქართველოს“ კომპოზიციის ფარგლებში, გამოფენილი იყო თითქმის ყველა ეროვნების მოსწავლეთა ნახატები, ნაქსოვები, ნაქარგები, ბიჟუტერია და ა.შ რომელიც სხვა და სხვა ეროვნების ტრადიციებს გამოხატავდა.

მოწვეული სტუმრებისთვის, მოსწავლეებმა რუსულ, ინგლისურ, ივრითულ, უკრაინულ, ბერძნულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე არა მხოლოდ ლექსები და მხატვრული ნაწარმოებები წაიკითხეს, არამედ ეროვნული ცეკვები და სიმღერები შეასრულეს.

თბილისის 72-ე საჯარო სკოლა, სადაც 739 მოსწავლე სწავლობს, მრავალეროვნული საგანმათლებლო დაწესებულებაა. სკოლის პრიორიტეტი სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეთა ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირება, მოქალაქეობრივი შეგნების ჩამოყალიბება და ქვეყნის წარსულისადმი, მისი ისტორიისადმი და კულტურული ტრადიციებისადმი პატივისცემის გრძნობის გაღვივებაა.

ამ მიზნების მიღწევას ემსახურება სკოლაში სახელმწიფო ენის გაძლიერებული სწავლება და ფედერაციის „გადავარჩინოთ ბავშვები“ მიერ ორგანიზებული და სკოლაში წარმატებით განხორციელებული ტოლერანტობის პროგრამა. სკოლა მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებთან და დიასპორებთან.

***

ქუთაისის №17 საჯარო სკოლაში, საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ინგლისურ ენაში კონკურსის The best linguist მეორე ტური ჩატარდა და მის მიმდინარეობას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ირინე ქურდაძე** აკვირდებოდა.

კონკურსი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს („ირმის ნახტომი“), ქუთაისის საგანმანათლებლო რესურსცენტრის, ქუთაისის ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლი-

სური ენის დეპარტამენტის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის საელჩოების მხარდაჭერით იმართება. მასში საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების VI-IX კლასების მოსწავლეები მონაწილეობენ.

კონკურსი სამტურიანია და მისი მიზანია მოსწავლეთა შორის ინგლისური ენის ცოდნისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების უნარ-ჩვევების გამოყენების ხარისხის დადგენა და საუკეთესო „ლინგვისტის“ გამოვლენა.

კონკურსის მოთხოვნებია: ინგლისური ენის ცოდნა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად (კლასების მიხედვით), კომპიუტერული უნარ-ჩვევების ფლობა, ტექსტის აკრება ონ-ლაინ რეჟიმში, პირადი ელფოსტის არსებობა, ვებგვერდზე რეგისტრაცია h

2010 წლის 1 მარტს დასრულდა კონკურსის I ეტაპი, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონის (თბილისი, რუსთავი, გორი, ქუთაისი, ქარელი, ზესტაფონი, საჩხერე, ბათუმი, სამტრედია, ქობულეთი, ფოთი, ზუგდიდი, ტყიბული) 280-მა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა.

22 მარტს, ქუთაისის №17 საჯარო სკოლაში, II ონლაინ ტური გაიმართა, მასში მონაწილეობდა I ტურში გამარჯვებული 213 მოსწავლე, მათ დავალება IST ტექნოლოგიების გამოყენებით საკანცელარიო რესურსების გარეშე შეასრულეს.

კონკურსის III დასკვნითი ტური აპრილში გაიმართება და მასში ყველა ის მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას, ვინც წარმატებით გაივლის მეორე ტურს. გამარჯვებული მოსწავლეები კომპიუტერული ტექნიკით დაჯილდოვდებიან.

***

თბილისის 161-ე საჯარო სკოლაში პროექტში „მომავალი შენია“ გამარჯვებულ მოსწავლეებს კომპიუტერები, სხვა ფასიანი საჩუქრები და სერტიფიკატები გადაეცათ. საზეიმო ვითარებაში მოსწავლეებს საჩუქრები განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ **კოკა სეფერთელაძემ**, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა **გოგა ხაჩიძემ**, არასამთავრობო ორგანიზაცია „წამის“ პრეზიდენტმა **ზაზა კორინთელმა** და თბილისის საკრებულოს წარმომადგენლებმა გადასცეს. დაჯილდოების შემდეგ, ჯგუფ „ზუმბალენდის“ და ფოლკლორულ ანსამბლ „ჩვენებურების“ ახალი მუსიკალური პროექტის „ასტროჯორჯია“ პრეზენტაციით, სკოლაში დასკვნითი კონცერტიც გაიმართა.

პროექტი „მომავალი შენია“ დედაქალაქისა და რეგიონების სკოლებში მთელი სასწავლო წლის განმავლობაში გაგრძელდება. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებს ლექცია-სემინარები ჩაუტარდებათ ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიცაა დემოკრატია და სამოქალაქო საზოგადოება, ტოლერანტობა, გენდერული თანასწორობა, შრომის პატივისცემა, ყოფითი კულტურა, ბუნების დაცვა და ეკოლოგიური უსაფრთხოება. ლექციების დასრულების შემდეგ, თითოეულ სკოლაში კონკურსანტებს ერთი კვირა ეძლევათ საინტერესო თემაზე ინფორმაციის მოსაძიებლად. კონკურსში მონაწილეობის ფორმები და გამოხატვის საშუალებები თავისუფალია (ფოტო, წერილობითი, სახვითი და სხვ). სამუშაოს შესრულების შემდეგ სკოლებში სხვადასხვა ნომინაციაში კონკურსი ჩატარდება და გამარჯვებულები საზეიმოდ დაჯილდოვდებიან. გაიმართება ასევე დასკვნითი კონცერტები თანამედროვე და ფოლკლორული მუსიკალური ჯგუფების მონაწილეობით. ამასთან, დამზადდება სტენდები, რომლებიც სკოლის არქივს საჩუქრად გადაეცემა.

სასწავლო წლის ბოლოს, გამარჯვებული ბავშვებისათვის საზაფხულო სოციალური ბანაკი მოეწყობა. მოსწავლეებს არა მხოლოდ ლექცია-სემინარები და ტრენინგები ჩაუტარდებათ, ისინი სხვადასხვა კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში, ლაშქრობებსა და შეჯიბრებებშიც მიიღებენ მონაწილეობას. პროექტის დასრულების შემდეგ, მომზადდება პროექტის შემაჯამებელი ჟურნალი, რომელშიც საუკეთესო ნამუშევრები და პროექტის მიმდინარეობის ამსახველი ფოტოები შევა.

უმცროსკლასელები საგზაო წესებს იცავენ

აფხაზეთის №3 საჯარო სკოლაში, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს პროექტის „საგზაო უსაფრთხოება მშვიდობიანი მგზავრობისათვის“ ფარგლებში, ჩატარდა ღია გაკვეთილი თემაზე „ჩვენ ვიცავთ საგზაო წესებს“. მესამეკლასელებმა გამოავლინეს თავიანთი ცოდნა საგზაო უსაფრთხოების წესების დაცვის შესახებ. სახალისო თამაშების სახით მოსწავლეებმა ჟესტიკულაციით საგზაო ნიშნები გამოიცნეს, ასევე ჩამოთვალეს ყველა აუცილებელი პირობა, რისი დაცვაც ევალებათ ქვეითად მოსიარულეებს. ბავშვებმა ტესტებსაც წარმატებით გაართვეს თავი.

ღია გაკვეთილის მიზანია, უმცროსკლასელებში უსაფრთხო მოძრაობის წესის პოპულარიზაცია, ასევე, საგზაო ნიშნების ცნობადობა. ღია გაკვეთილს ესწრებოდა ორგანიზაციის „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისათვის“ დირექტორი **ეკა ლალიაშვილი**.

შეგახსენებთ, რომ აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ინიციატივით პროექტში „საგზაო უსაფრთხოება მშვიდობიანი მგზავრობისათვის“ აფხაზეთის საჯარო სკოლების 2000-ზე მეტმა მოსწავლემ და 300-მდე პედაგოგმა მიიღო მონაწილეობა. პროექტის მხარდამჭერი ორგანიზაციებია: ასოციაცია „დაცული მოძრაობა“, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება და „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისათვის“.

მოსწავლეები ანტინარკოტიკულ პროგრამაში ჩაერთნენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს „ანტინარკოტიკული პროგრამის“ ფარგლებში, აფხაზეთის №3 საჯარო სკოლის 10-მდე მეშვიდეკლასელი სტუმრობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალ შენობას. ბავშვებმა დაათვალიერეს უახლესი ტექნიკით აღჭურვილი საპატრულო მანქანები, გაეცნენ საპატრულო პოლიციის მუშაობის სპეციფიკას და უსაფრთხო მოძრაობის წესებს, შეხვედრის ბოლოს მოსწავლეებს ანტინარკოტიკული შინაარსის ფილმიც უჩვენეს. როგორც წესი, გარდატეხის ასაკში, არსებული რეალობით უკმაყოფილო ბავშვები ხშირ შემთხვევაში, პრობლემებიდან თავის დაღწევის მიზნით ეძალებიან ქუჩას, თამბაქოს და წამალს, რომელსაც ახალგაზრდობა ცუდ შედეგამდე მიჰყავს.

სოფო ჩიქობავა, 12 წლის: *„ნარკომანია საშინელი სენია, წამალი არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი მოზარდებისთვის და ყველანაირი ზომები უნდა იქნეს მიღებული, იმისათვის, რომ ბავშვები ცდუნებას ააცილონ.“*

თორნიკე მუსერიძე, 12 წლის: *„არ მეგონა, ასეთ საშინელ შედეგამდე თუ მიყავდა ნარკომანიას ადამიანი, ზოგადად ვიცოდი, რომ ცუდია ნარკომანია, მაგრამ ამდენი დაავადების მიზეზიც თუ ხდებოდა არ მეგონა.“*

ლევან გოგია, 12 წლის: *„ჩვენმა თანატოლებმა უარი უნდა თქვან ნარკოტიკზე, თამბაქოზე. მისი მომხმარებელი არამარტო თავს აყენებს ზიანს, არამედ გარშემო მყოფთათვის ცუდი მაგალითის მიმცემია. უნდა გამოვიჩინოთ უფრო მეტი ინტერესი სპორტის მიმართ, რადგან სპორტი ჯანსაღი ცხოვრების წესს უწყობს ხელს.“*

პროექტის მიზანია, მოზარდებში ანტინარკოტიკული კამპანიის პოპულარიზაცია და ჯანმრთელობისთვის მავნე ნივთიერებების მოხმარებისგან ახალგაზრდების დაცვა.

მიიღეთ ცოდნა თქვენი დასაქმებისათვის

20 მარტს, დ. გურამიშვილის სახელობის ქართულ-უკრაინულ უნივერსიტეტში „იბერია“, თბილისის მერიის პროექტის „მიიღეთ ცოდნა თქვენი დასაქმებისათვის“ (ინგლისური ენისა და კომპიუტერების შემსწავლელი უფასო კურსები) ფარგლებში, 4 სასწავლო ცენტრის პრეზენტაცია გაიმართა. აღნიშნული ცენტრები გაიხსნა თბილისში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისთვის. პრეზენტაციის მიზანია ამ პროექტის ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა.

სასწავლო ცენტრებში, ამჟამად დასაქმებულია 12 პედაგოგი, აქედან 7 კომპიუტერის და 5 ინგლისური ენის სპეციალისტი. მიმდინარეობს 362 დევნილის სწავლება.

სასწავლო ცენტრები მდებარეობს: ქ. თბილისში, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო, ქართულ?კრაინული უნივერსიტეტი ?ბერია ვაშლიჯვრის #2 საჯარო სკოლა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ: აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარე **გიორგი ბარამია**, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **გია გვაზავა** , თბილისის მერიის წარმომადგენლები. პრეზენტაციას გაუძღვება აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი **დალი ხომერიკი**.

პროექტი გრძელვადიანია და ითვალისწინებს მეტი რაოდენობის აფხაზეთიდან დევნილების დასაქმებას და სასწავლო პროცესში მათ ჩართულობას.

სპორტი

ქებაძემ ქება დაიმსახურა

საქართველოს ჭაბუკ ძიუდოისტთა ნაკრებები წარმატებით გამოვიდნენ ანთალიაში გამართულ ევროპის ჭაბუკთა თასზე. ცხადია, უფრო მეტი მედალი ვაჟებმა მოიპოვეს, მაგრამ გოგოებმაც ისტორიულ გამარჯვებას მიაღწიეს – მძიმეწონოსანი **ელენე ქებაძე** ჩემპიონი გახდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, როცა საქართველოში ისევ დაიწყო ქალთა ძიუდოს აღორძინება, ამ რანგის ტურნირზე ეს პირველი წარმატებაა. მეტიც – აქამდე ჩვენი გოგოებისგან თითო მოგებაც კი სანატრელი იყო. მართალია, ერთი-ორჯერ უფრო დაბალი რანგის ტურნირებზე ბრინჯაოს მედლებიც მოიპოვეს, მაგრამ ეს ტურნირი სიძლიერით და რანგით ბევრად აღემატებოდა ყველას.

ქებაძე ქალთა ძიუდოში ერთ-ერთი ყველაზე იმედისმომცემი და პერსპექტიული მოზარდია. აქამდე რაიმე სერიოზული წარმატება არც მას მოეპოვებინა, თუმცა ბოლო ხანებში ნაკრების მწვრთნელი **გია თენაძე** მის პროგრესს აღნიშნავდა, რაც ანთალიაში წარმატებით დასრულდა. მას შემდეგ, რაც პირველ წრეში მისი მეტოქე, რუსი **ევგენია ფროლოვა** ტურნირიდან მოიხსნა, ქებაძეს საფინალო გზაზე თურქული ბარიერების დაძლევა მოუხდა – ჯერ **კუბრა ბაირამი** დაამარცხა, მერე – **ფირდევს ტოპრაკი**. ფინალში მის წინააღმდეგ სერბი **მილიცა ზაბიჩი** დადგა, მაგრამ ქებაძე არც ამ გადამწყვეტ ეტაპზე შედრკა, კარიერის პირველი ტიტულის მოსაპოვებლად მეტოქეს თამამად შეუტია და მალევე შებოჭა. გამარჯვებაც არის და გამარჯვებაც, მაგრამ წმინდად მოგებამ ამ მედალს უფრო მეტი ფასი შესძინა.

ვაჟებმა 4 ოქრო, 1 ვერცხლი და 7 ბრინჯაო მოინადავლეს. ჩემპიონები **მიხეილ მეზურნიშვილი** (60), **თამაზ ონიანი** (73), **ლაშა ტაველური** (81) და **უშანგი გასიტაშვილი** (90) გახდნენ. ვერცხლი **ომარ ნიაზაშვილს** (55) ერგო, ბრინჯაოები კი **მიხეილ იმერლიშვილმა** (50), **ზაზა როსტომაშვილმა** (55), **თომა თავზარაშვილმა**, **პავლე ქავთარაძემ** (ორივე – 60), **ზაურ მამარდაშვილმა** (73), **ილია ოტიაშვილმა** (81) და **კარლო ნემსიწვერიძემ** (+90) მოიპოვეს. ასეთი მასშტაბური წარმატება მით უფრო სასიამოვნო და გასაკვირია მათი მოსამზადებელი პირობების ფონზე – ჯერჯერობით, მხოლოდ ერთი შეკრება გაიარეს, სეზონში კი სულ მეორე ტურნირში იჭიდავეს. ის პირველიც საქართველოს ჩემპიონატი იყო, ანუ უცხოეთში სულაც პირველად გავიდნენ. მოგვიანებით, აპრილში მეორე საზღვარგარეთული ტურნირისთვის ფული რომ დაეზოგათ, ჭაბუკებმა უარი თქვეს ერთ შეკრებაზე, მაგრამ ესეც არ იყო საკმარისი და მწვრთნელები იძულებულნი გახდნენ, შეკრებაზე მონაწილეთა რაოდენობა გაენახევრებინათ. ცხადია, ბევრად უფრო ცუდია გოგოების მდგომარეობა, რომლებსაც წლეულს დაფინანსება კიდევ უფრო შეუმცირეს. ამასთან, ტურნირიც ძალიან ძლიერი გამოდგა – 15 ქვეყნის 250-მდე სპორტსმენი გამოდიოდა, რაც ამ ასაკში შთამბეჭდავი ციფრია.

ჭაბუკები 25-27 ივნისს ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან. გოგოების ნაკრების შემადგენლობაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა – მათ საქართველოს ჩემპიონატი უნდა გამართონ, თუმცა არა გვგონია, ქებაძე ნაკრებსმიღმა დარჩეს. რაც შეეხებათ ვაჟებს, შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპზე ჩეხეთში წასვლა გაინაღდეს ნიაზაშვილმა და ონიანმა – ისინი საქართველოს ჩემპიონებიც გახდნენ და აქაც გაუსწრეს კონკურენტებს, დანარჩენ წონებში კი კონკურენცია კვლავაც გრძელდება. ამ პრობლემის გადასაჭრელად აპრილში ისინი ისევ ჩეხეთში, ოღონდ ტეპლიცეში იჭიდავებენ იქაურ საერთაშორისო ტურნირზე.

ჭანტურიამ ავსტრიაც მოხიბლა

სამშაბათს 17-წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრებმა დაამთავრა მზადება ავსტრიაში და ჩეხეთში გადაბარგდა, სადაც 26 მარტიდან ევროპის პირველობის შესარჩევი რაუნდის ელიტრაუნდში ჩაებმება. ავსტრიიდან წასვლის წინ ჩვენებმა ბოლო საკონტროლო შეხვედრა გამართეს „ველცენეგის“ 19-წლამდელთა გუნდთან და „ბარსელონელ“ **გიორგი ჭანტურიას** დუბლით 2:0 მოუგეს. თამაშის მეორე დღეს ავსტრიულმა გაზეთმა „ფუზბალმა“ ჩვენებურს საგანგებო წერილი მიუძღვნა სათაურით „ბარსელონელი ვარსკვლავი“, რომელშიც ასეთი რამ წერია: *„ქართველებმა რომ შეკრების კლაგენფურტში გამართვა გადაწყვიტეს, ამაში გასაკვირი არაფერია, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მათ რიგებში „ბარსელონას“ ერთი წევრიცაა, რომელსაც ესპანური გრანდის ახალგაზრდულ გუნდში სისტემატურად გააქვს გოლები. ბუნებრივია, ეს მთავარ გუნდში ავტომატურად დამკვიდრებას არ ნიშნავს, მაგრამ ასეთი მონაცემების ფეხბურთელს „ბარსას“ და მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავად გახდომის დიდი შანსი აქვს.*

ჭანტურია, ყველა საფეხბურთო მონაცემით, უხვადაა დაჯილდოებული. სიმაღლით 181 სანტიმეტრია და ბუნებრივია, მისი ზრდა ამით არ დამთავრდება. გონიერია, ფიზიკურადაც საკმაოდ ძლიერია და ორივე ფეხით კარგად თამაშობს. მოკლედ, იდეალური მასალაა საიმისოდ, რომ რამდენიმე წელიწადში მსოფლიო დონის თავდამსხმელი გახდეს“.

ნამდვილად სასიამოვნოა, 16 წლის ქართველ ფეხბურთელზე ევროპული მედია ასე თბილად რომ წერს. ჭანტურიამ საკუთარი პერსპექტივა არაერთხელ დაამტკიცა, ახლა კი ჯერი მთლიანად მასზეა – თუ გულმოდგინედ ივარჯიშებს და შრომას არ დაიზარებს, დიდი ვარსკვლავიც გახდება. საამისოდ მსოფლიოს სუპერ-კლუბი – „ბარსელონა“ ყველა პირობას უქმნის.

ამჯერად ტურინში ისრიალებენ

ვანკუვერის ოლიმპიადიდან არც ისე დიდი დრო გავიდა, მოციგურავეები კი უკვე მსოფლიოს პირველობაზე ასპარეზობენ, რომელსაც 22 მარტიდან იტალიური ტურინი მასპინძლობს. საქართველოდან მასში იგივე კონტინგენტნი მონაწილეობს, რომლითაც ვანკუვერის ოლიმპიადაზე, ანუ ქალთა შორის ერთეულებში – ევროპის წლევანდელი ბრინჯაოს პრიზიორი **ელენე გედევანიშვილი** და სპორტული წყვილი **ოთარ ჯაფარიძისა** და **ალისონ რიდის** შემადგენლობით. წყვილი გუშინვე ჩაება ჩემპიონატში და გადატვირთული კალენდრის (იანვარში ევროპაზე ისრიალეს, თებერვალში – ოლიმპიადაზე, ახლა კი მსოფლიოზე გამოდიან) და ახალგაზრდული ასაკის კვალობაზე, სავალდებულო პროგრამაში ურიგოდ არ გამოსულან – 22-ე ადგილზე გავიდნენ. ეს წყვილი მაინც უფრო მომავლის წყვილადაა მიჩნეული, რადგან ჯაფარიძე 23 წლისაა, ამერიკელი რიდი კი ჯერ 16-საც არაა. ისინი 25 მარტს თავისუფალი პროგრამით იცეკვებენ, 26-ში კი სტარტზე ჩვენი მთავარი იმედი – ელენე გედევანიშვილი დადგება. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ვაჟთა ტურნირისგან განსხვავებით, ქალებში ყველა ლიდერი იასპარეზებს – კორეელი ოლიმპიური ჩემპიონი **იუ ნა კიმი** (ვინც კანადაში მის გამოსვლებს უყურა, დაგვეთანხმება – კი არ ისრიალა, სასწაულები აკეთა), იაპონელი ვიცე-ჩემპიონი **მაო ასადა**, შვეიცარიელი ევროპის ვიცე-ჩემპიონი **სარა მეიერი**, უნგრელი ევროპის ექს-ჩემპიონი **ჟულიენ სებასტიენი**, ფინელი ევროპის ექს-ჩემპიონი **ლაურა ლეპისტო**, მისი თანაგუნდელი **კიირა კორპი** და სხვა გამოჩენილი სპორტსმენები. ცხადია, იქნება ევროპის სამგზის ჩემპიონი (ეს ტიტული ბოლოს წლეულს მოიპოვა) და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, მასპინძელთა კერპი და ამ სახეობაში ერთ-ერთი ულამაზესი სპორტსმენი **კაროლინე კოსტნერი**, რომლის ლამაზი ნატურა ჩემპიონატის ოფიციალურ აფიშას ამშვენებს.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

დიდი გზის დასაწყისი...

მსგავსი ზეიმები სკოლებში ხშირად იმართება. წელიწადის დროებისა თუ ღირსშესანიშნავი თარიღების მიხედვით ზოგს „გაზაფხულის ღიმილი“ ჰქვია, ზოგს „შემოდგომის სურნელი“ და ზოგს კიდევ რა. როგორც წესი ამ ღონისძიებების სიუჟეტებიც თითქმის ერთნაირია ხოლმე, უფრო ხშირად მოსაწყენი და უინტერესო. ის, რაც 19 მარტს 47-ე საჯარო სკოლის VII^3 კლასელებმა გვიჩვენეს სრულიად განსხვავებული რამ იყო. სათაურით კი წააგავდა არაერთგზის ნანახსა და გაგონილს, მაგრამ ფორმითა და შინაარსით ეს იყო ღონისძიება, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მოსწავლეთა შემოქმედებითი ნიჭის წარმოჩენას, მათ წახალისებას ისახავდა მიზნად. კოსტუმირებული სანახაობის სიუჟეტი მარტივი იყო – დედოფალს და მის ამალას პატრული აკავებს. დონკიხოტი და სანჩო პანსა მათ დასახსნელად მიემართებიან. მოწვეულ სტუმრებს კი ყარაჩოღელები ართობენ, მათ **ელენე კუხალაშვილი** ცვლის სიმღერით დედაზე, ხოლო, როცა დედოფალი ფერიებთან ერთად ბრუნდება, თითქმის მთელი კლასი მღერის ყველასთვის ნაცნობ სიმღერას „რა დილა თენდება“; VII-კლასელთა ზეიმს I-II და X-XI-კლასელები უერთდებიან სიმღერებით: „მგზავრული“ და „დილა“, ფანდურზე **ნატო ქველაძე** უკრავს, მათ კლასის მეგობარი **თათული გაბიძაშვილი** და **ანა სარჯველაძე** ცვლიან. აკომპანემენტს მუსიკის მასწავლებელი და კლასის დამრიგებელი **ნანა აბზიანიძე** უწევდა, გუნდსაც ის დირიჟორობდა. ძნელი მისახვედრი არ არის, რა შრომა გასწია მასწავლებელმა, რომ სულ მოკლე დროში სამ ხმაში ასე კარგად შეესრულებინათ ბავშვებს ქართული ხალხური სიმღერები, დაეკრათ ფანდურზე, გიტარაზე, ეცეკვათ... და ეს ყველაფერი ერთ პატარა საკლასო ოთახში, რომლის ერთ კედელს ამავე კლასის მოსწავლის, **მარიამ ჯაჭვაძის** ნახატები ამშვენებდა. ამ საგაზაფხულო ღონისძიების ძირითადი მიზეზიც სწორედ მარიამი იყო. კარგი მეგობარი, კარგი მოსწავლე, კარგი მხატვარი და ასევე კარგი მომღერალი – ასე ახასიათებენ მას თანაკლასელები.

„ცუდი მეხსიერება ნამდვილად არ მაქვს და კარგად მახსოვს, რომ ძალიან პატარა ვიყავი, ხატვა რომ დავიწყე. სულ ვხატავდი. ისეც ხდებოდა, რომ ჯერ დავხატავდი და მერე ვარჩევდი, რა დავხატე. უკვე ორი წელია სამხატვრო სკოლაში დავდივარ. აი, ეს ნახატი, იესოს დაბადება, 6 წლისამ დავხატე წაკითხულის შთაბეჭდილებით; გოგონა მთვარეზე – 9 წლისამ. დანარჩენები უფრო გვიანდელია. „სალამურას თავგადასავალი“ (წიგნის ყდა), საბავშვო გამომცემლობის ლოგო და თავისუფალი თემა „ჩვენი სოფელი“ სამხატვრო სკოლაში მოცემული დავალებებია. ძალიან მიყვარს და მაინტერესებს ბერძნულ-რომაული კულტურა. „აფროდიტე“, „პოსეიდონი“, „დემეტრეს გოგონა“ და სხვები ამ თემაზე შექმნილი ნახატებია. ვხატავ ფანქრით, ტუშით, შავ-თეთრი გუაშით, თუმცა, ყველაზე მეტად გუაშში ხატვა მირჩევნია“ – ამბობს მარიამი. მას პროფესიაც არჩეული აქვს – აუცილებლად მხატვარი იქნება. ამისათვის აქედანვე ბევრს შრომობს, სწავლობს ათებზე, ცოტათი მათემატიკა უჭირს, გაკვეთილების შემდეგ სამხატვრო სკოლაში მიდის და 7-8 საათისთვის ბრუნდება შინ. იცის, რომ მიზნის მისაღწევად ბევრი უნდა ისწავლოს, რასაც სიამოვნებით აკეთებს კიდეც.

მარიამ ჯაჭვაძე და ნანა აბზიანიძე

მარიამის ხელოვნების მასწავლებელი **ნინო ალექსიძე**: *„უნიჭიერესი ბავშვია, შემოქმედებითად მოაზროვნე. ყველა გაკვეთილს ილუსტრაციებით აცოცხლებს. რა პროფესიაც უნდა აირჩიოს მარიამმა, ისეთი ხედვა აქვს სამყაროსი, რომ ყველგან საინტერესო და წარმატებული იქნება“.*

ვინ იცის, სკოლის ერთ ჩვეულებრივ საკლასო ოთახში მოწყობილი პირველი გამოფენა, მართლაც დიდი გზის დასაწყისი იყოს მომავალი ხელოვანისთვის.

სესილი გეგეჭკორი

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი ბ/კ 220101502, ს/კ 202058735, ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

C M Y K